დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: კობახიძე თამთა

წევრები:

ლელა ცარციძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ფიქრია მუმლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ეკა სიმსივე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო თამარაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თეონა ჯაფარიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის საგნობრვისი ექსპერტი მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**(ს/კ:232004639)**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თერჯოლის მუნიციპალიტეტი**
იურიდიული მისამართი	**სოფელი ჩხარი**
ფაქტობრივი მისამართი	**სოფელი ჩხარი**
საფოსტო ინდექსი	**2400**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**Skolebi.emis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**terchkhari@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577973320**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	30.08.2023 - MES 1 23 0001052878
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	5 – 6 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხარი
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხარი
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხარი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს, მკაფიოდ გამოხატული გუნდურობით, თანამშრომლობითი კულტურითა და ჯანსაღი ორგანიზაციული კლიმატით. სკოლის ბოლო წლების შედეგები (ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული წარმატებები) მზარდია, ზემოაღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **----------** **600**	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა საჭიროებს განახლებას.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნ სწავლის ინკლუზიურ გარემოს.	სკოლა ნაწილობრივ ადაპტირებულია, სკოლას აქვს ლიფტ და აქვს პანდუსი, თუმცა არ აქვს ადაპტირებული სველ წერტილები,
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		.....

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(დაწყებითი საფეხური)**	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას;*	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - ჩვენი საქართველოსა და მ და საზოგადოების კურიკულუმები გაიწეროს სრულად, ყველა ცნებაზე გაიწეროს კომპლექსური ან სხვა ტიპის დავალებები. **მათემატიკა** პირველი და მეორე კლასის კურიკულუმები წარმოადგინონ სრული ფორმით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	*რჩევა*

	(საბაზო საფეხური)	
ინდიკატორი 2.1.2.	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას;*	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სრულად გაიწეროს საბაზო საფეხურზე მოქალაქეობის, ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმები. ყველა ცნება დამუშავდეს კომპლექსური ტიპის დავალებებით, რადგან სამივე საგნის კურიკულუმებში ერთ ან ორ ცნებაზეა წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის.
ინდიკატორი 2.1.2.	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებ ინდიკატორი*	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - გადაიხედოს დანართი N12 შეფასების რუბრიკები, სადაც ჯგუფური მუშაობის შეფასებ რუბრიკა ქულებზეა გაწერილი, ამავე დოკუმენტშ შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, რომელიც მხოლო განვლილი მასალის ცოდნის შემოწმებაზეა ორიენტირებულ

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*რჩევა*

ინდიკატორი 2.2.2.	*საგნობრივი კონტექსტები ემსახურე მოსწავლის პიროვნულ და ფსიქ სოციალურ განვითარებას;*	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - დაიგეგმოს დ განხორციელდეს კიდევ უფრო მეტი პროექტები დ აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სხვა ადამიანებ პოზიციის გაცნობიერებას, საკუთა გამოცდილებასთან დაკავშირებას, თანაგრძნობ გამოხატვას, საკუთარი ემოციების ამოცნობას დ მართვას, ღირებულებებზე დაფიქრებას, გუნდურ მუშაობის უნარების განვითარებას, პოზიტიუ კომუნიკაციას.
ინდიკატორი 2.2.2.	*შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი;*	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საშუალო-სამე საგანში შექმნილია განმსაზღვრელი შეფასებ რუბრიკები, თუმცა დარღვეულია პრინციპი: ყველ თემაში ვაფასებთ ყველა ცნებაზე მოსწავლეთ შედეგებზე გასვლის ხარისხს. განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები, თემ ფარგლებში, უნდა მიემართებოდეს საგან სტანდარტით განსაზღვრულ ყველა ცნებას და ა მაგალითად ოთხი ცნებიდან ორს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა აღზარდოს თვითგანვითარებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პიროვნება. ჩამოუყალიბოს უწყვეტი განვითარების უნარი, რომლის საშუალებითაც იგი შეძლებს თვითრეალიზებას და სწავლა-სწავლების პროცესში შეძენილი ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას. დაწესებულების ხედვა გამომდინარეობს მისი მისიისდან და სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის ხედვაა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის გარემოში სასწავლო პროგრამებით, ინოვაციური მიდგომებით და არაფორმალური განათლებით პოპულარიზაციით გახდეს ყველაზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიარი სკოლა რეგიონში. იყოს მყარი, შემოქმედი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. იზრუნოს, რომ სკოლის ყველა მოსწავლემ განათლება მიიღოს მაღალაკადემიურ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურად უსაფრთხო გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ნაწილში ჩანს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, მოსწავლეთათვის უსაფრთხო და მასტიმულირებელი გარემოს შექმნისათვის მუმდივი მზაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კერძოდ, სკოლამ გასულ სასწავლო წელსა და ზაფხულის პერიოდში დაიწყო მისიისა და ხედვის გადამუშავების პროცესი. პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა გუნდი და მოხდა საზოგადოების ინფორმირება, გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა გამართული შეხვედრებისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარების დამამტკიცებელი და ამსახველი მასალები, რომლებიც ადასტურებენ სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მისიის, ხედვისა და ღირებულებების ნაწილში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების განახლების დამადასტურებელი მასალები, რომლებიც ადასტურებდა სასკოლო საზოგადოების ყველა ერთეულის ჩართულობას პროცესში, შესაბამისად, დასრულების შემდეგ სკოლამ უზრუნველყო განახლებული დოკუმენტაციის გაცნობა სრული უმრავლესობისათვის. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია როგორც საინფორმაციო დაფაზე, ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში. აღნიშნული ასევე განხილულია მშობელთა კრებებსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია როგორც საინფორმაციო დაფაზე, ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი, სოციალური ქსელი და საინფორმაციო დაფა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ჩატარებული შეხვედრების ამსახველი ოქმები და ვიზუალური მასალა.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სკოლის დირექტორის ივლისის N 2-34 ბრძანებით შეიქმნა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელსაც ასევე დაევალა მოქმედი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის რევიზია და ა.შ. ჯგუფმა ასევე უზრუნველყო სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მოიცავს პროცესთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს, პროცესის დაგეგმვის ეტაპებს, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხების აღწერას, გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიურ ასპექტებსა და მონიტორინგის/რევიზიის მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ - მისია, ხედვა, ღირებულებები, არსებული სიტუაციის ანალიზი, SWOT ანალიზი, სტრატეგიული მიზნები, პრიორიტეტები, სტრატეგიული გეგმის შესრულების კალენდარი. სკოლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი ეფუძნება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტს. თუმცა სტრატეგიული გეგმა ვიზიტის პერიოდში დამტკიცებული იყო პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლის არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, აღნიშნული მოვიდა კანონთან შესაბამისობაში და სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, მოიცავს გეგმასთან თავსებად ამოცანებს, აქტივობების აღწერას, კალენდარულ გეგმას, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებისა და რესურსების ჩამონათვალს. სამოქმედო გეგმა თავისი შინაარსით ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იყო პედგოგიური საბჭოს მიერ. სკოლის არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, აღნიშნული მოვიდა კანონთან შესაბამისობაში და სამოქმედო გეგმა დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-34;
- სტრატეგიული გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მონიტორინგის ნაწილში გაწერილია ანგარიშვალდებულების ნაწილი, მეთდოლოგია და მონიტორინგის ფორმები, ვადები და რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში მიმდინარე პროცესები, კერძოდ კი ხედვის, მისიისა და ღირებულებების გადახედვის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და გაზიარების ამსახველი მასალები და პროცესები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს მზაობა მეთოდოლოგიის შესაბამისაც განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფაასება, და გაუზიაროს შედეგები დაინტერესებულ საზოგადოებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. გამომდინარე იქედან, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები ახალი დამტკიცებულია, ჯერჯერობით მისი მონიტორინგი არ განხორციელებულა, არც შედეგების ანალიზი. თუმცა არსებული პროცესები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას გააჩნია მზაობა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შედეგები გააზიაროს საჯაროდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს მზაობა და იაზრებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოიყენების მნიშნელობას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-34;
- სტრატეგიული გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. აღნიშნული სკოლაში რეგულირდება როგორც მოქმედი კანონმდებლობით, ასევე ხელშეკრულებებით. ინდივიდუალურ შემთხვევებში გამოცემულია ბრძანებებიც (სკოლის დირექტორის ბრძანება 2-25, 14.09.2022 ფუნქცია-მოვალეობების განაწილების შესახებ). სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები. დაინტერესებული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია სტრუქტურული ერთეულების ჩარჩო, რომელიც თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. სკოლის დირექტორის 2023 წლის 2-56 ბრძანებით დამტკიცებულია ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და საქმიანობის რეგულაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის დირექცია ხელშეკრულების გაფორმების პროცესში პერსონალს აცნობს ფუნქციამოვალეობებს. კათედრები შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმის კურიკულუმის ნაწილსა და საჭირო რესურსებს. სასკოლო პედაგოგიური საბჭო განიხილავს და ათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან სასკოლო სასწავლო გეგმას და შემდგომ, ამტკიცებს. სკოლაში არის ისგ-ს ჯგუფი, რომელშიც შედის: საგნის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, სპეც. მასწავლებელი, ფსიქოლოგი და მშობელი. ჯგუფი იკრიბება სემესტრის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ. შეხვედრებზე ერთობლივად განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, შეიმუშავებენ რეკომენდაციებსა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა (ფოტო);
- ბრძანება ფუნქციათა გადანაწილების შესახებ;
- ადმინისტრაციის წევრებსა და სხვა მუშაკებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.
- დამტკიცებულია ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და საქმიანობის რეგულაციების დოკუმენტი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობასა და დაწესებულების დადგენილ პირობებს. თითოეული პერსონალის უფლება მოვალეობები და ფუნქციები დამტკიცებულია ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმი. დოკუმენტაციის ანალიზი და ვიზიტის დროს მიღებული კონკრეტული ქეისების განხილვა იძლება იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლაში პროცესები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალის მართვასათან დაკავშირებული საკითხები სტრანდარტთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლა ხელს უწყობს სკოლის კულტურის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. სკოლაში ცხადება ვაკანსია, იქმნება შესაბამისი საკონკურსო დებულებები, დირექტორის აქტებით იქმნება კომისია, დოკუმენტაციის გადამრჩევი კომისია, საპროტესტო კომისია (საჭიროების შემთხვევაში). სკოლაში დასაქმების პოლიტიკა არის გამჭვირვალე და ობიექტური. სკოლა იყენებს საკონკურსო სისტემას. კონკურსი ცხადდება მასწავლებელთა ვაკანსიის ვებგვერდზე, სპეციალურად შექმნილი კომისიის ბრძანების საფუძველზე. თანამშრომლების აყვანისას სკოლა იყენებს გამოსაცდელ ვადას. სკოლას შიანაგანაწესშიც აქვს დაზუსტებული თანამშრომელთა შერჩევის პირობები და მოთხოვნები. 2020 წლიდან დასაქმებულთა პირად საქმეებში ინახება ცნობები ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმებისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში (ექიმის) არ იყო ცნობები წარმოდგენილი ვიზიტის პერიოდში, რადგან მიმდინარეობდა წარმოება. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კარიერული წინსვლისა და განვითარების სქემას. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებითაც დასტურდება კადრების კვალიფიკაცია. ვიზიტის ეტაპზე გადამოწმდა ყველა სათანადო დოკუმენტცია და კონკურსები, შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, მიიღონ გადაწყვეტილებები და აიღონ პასუხისმგებლობი. თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა და განზოგადება. სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდი ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს, ერთად გეგმავენ საჭიროებაზე დაფუძნებულ განვითარების გზებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელის საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. კათედრის წევრები ფორმალურ თუ არაფორმალურ შეხვედრებზე განიხილავენ და მსჯელობენ ერთობლივად სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება ეფუძნება გუნდურობას და თანამშრომლობას. რაც დადასტურებულია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და თანამშრომელთა ინტერვიუს შედეგად. სკოლისთვის თითოეული მასწავლების წარმატება მნიშვნელოვანი და ღირებულია. ძალინ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმატებული გამოცდილების გაზიარებას და სასკოლო საზოგადოების მუდმივ ინფორმირებულობას ამ კუთხით. სკოლის მასწავლებელბი აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში, კონკურსებში, კონფერენციებსა თუ ოლიმპიადებში. გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაც, იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგად და სკოლის ფეისბუქ გვერდით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის დანიშვნის ბრძანება;
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექნიზმების დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლას ასევე გააჩნია მართვის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. სკოლა უპირატესობას ანიჭებს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა წინსვლას. დანერგილია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. მასწავლებლები ურთიერთდასწრების საფუძველზე გასცემენ კონსტრუქციულ უკუკავშირებს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთობლივად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს და ახდენენ მათ მოდიფიცირებას. სკოლაში შექმნილია ურთიერთნდობისა და მხარდაჭერის ატმოსფერო, რაც ნათლად ჩანს ჩვენ მიერ წარმოდგენილ ქეისში და რომელიც განვითარების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. სკოლის მასწავლებლები ჩართული არიან პროფესიულ განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პერსონალს, დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათზე სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი ძირითადად

დაკვირვების და ხელშეკრულებებში გაწერილი მოვალეობების შესრულების ხარისხით. ასევე კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლა ადგენს, რა მიმართულებით სჭირდება პერსონალს განვითარება-გადამზადება. სკოლის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაც ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების განვითარების გზების მოძიებას და შეთავაზებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარე სერვისებით. როგორც სამოქმედო გეგმაშია გაწერილი და ინტერვიუებმაც აჩვენა, რომ უწყვეტად მიმდინარეობს საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. ყურადღებას მახვილდება რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარება უკავშირდებოდეს მოსწავლეთა შედეგებს. მასწავლებლები აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში. ხშირად არის გაზიარებული ინფორმაცია მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ, სკოლა ადევნებს თვალს ასევე ამ შესაძლებლობას თუ იყენებენ მასწავლებელები და მერე როგორ ნერგავენ პრაქტიკაში. სკოლაში მუშაობს სასწავლო ჯგუფები, რაც ერთ ერთი საუკეთესო გზაა პროფესიული განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლის დირექტორის სათანადო ბრძანებით დამტკიცებული აქვს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინდეგრაციის გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც შინაგანაწესისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობას, ასევე თანამშრომლის საქმიანობასთან დაკავშირებულ კონკრეტული მოლოდინების გათვალისიწნებას, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან მის წარდგენას, სამუშაო სივრცის გამოყოფას და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.კონკრეტულად მასწავლებლების ან მოსწავლეთა თვითმართველობის მხრიდან წამოსული ინიციატივების, პროექტებში ჩართულობა, სხვადასხვა აქტივობების განხორციელება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა ხდება სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, წახალისებისას ხდება არსებული ბიუჯეტისა და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ადაპტაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- კათედრის პორტფოლიოები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციებშიც შედის მასწავლებლის შიდა შეფასების განხორციელება და აღნიშნული შედეგების კონსოლიდაცია. სკოლას ასევე გააჩნია შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ასახავს შიდა და გარე სისტემურ შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს, პრინციპებს, მიმართულებებს, ასევე შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. დოკუმენტაციის ანალიზის, სკოლაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისა დაინტერვიურების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სხვადასხვა დოკუმენტაციის ანალიზის (თანამდებობრივი ინსტრუქციები, ხარისხის პოლიტიკა, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, და ა.შ.) აჩვენებს, რომ სკოლაში ყველა სფეროსთან დაკავშირებული პროცესები გააზრებული, იდენტიციფირებული და მოწესრიგებულია. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. შინაგანწესი არეგულირებს დაწესებულებაში შემოსული საჩივრის რეგისტრაციის წესს. არსებობს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოჩვენს სკოლაში იწვევს სხდომებს და განიხილავს საჩივრების პროცედურებს. სკოლის დირექტორის 2023 წელის 21 სექტემბრის #2-51 ბრძანებით ასევე დამტკიცებულია სკოლაში განაცხადების მიღებისა და საჩივრის განხილვის წესი.დოკუმენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ჩხარის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის და მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად და გამოკრულია თვალსაჩინოდ, საინფორმაციო დაფაზე. მშობლისა და კანონიერი წარმომადგენილის უფლებების დაცულობის საკითხი რეგულირდება ზოადი კანონმდებლობითა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება და დებულება;

- ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი;
- განცხადების მიღებისა და საჩივრის განხილვის წესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლა თემთან და მშობლებთან კომუნიკაციას წარმართაბს როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ ფორმატით (სოციალური ქსელი, ტელეფონი, თიმსის პლატფორმა, ვებ-გვერდი. უკუკავშირის მიღების დადასტურების მაგალითებია სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში, ხედვისა და მისიის ფორმირების პროცესში წარმართული აქტივობები (გამოკითხვა,ინფორმაციის მოგროვება მშობელთა კრებებზე). წერილობით უკუკავშირზე სკოლას აქვს განცხადების მიღებისა და მასზე სათანადოდ რეაგირების მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმყოფილებულია.**
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. მშობლები არიან დისციპლინარულ კომიტეტის და სამეურვეო საბჭოს წევრები. სკოლაში ტარდება თვითმართველობის არჩევნები ყოველწლიურად და ირჩევენ მოსწავლეთა თვითმართველობის თავმჯდომარეს. ასევე სამეურვეო საბჭოს არჩევნები. მშობლები ინფორმირებული არიან სკოლაში არსებულ ყველა მიმდინარე საკითხებზე და აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში როგორც სკოლის შიდა ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებებში. სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების აზრს მომდევნო სასკოლო პროექტის თემატიკის შერჩევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დისციპლინური კომიტეტისა და სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა;
- ვებგვერდი, სოციალური ქსელი;
- გამოკითხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- განცხადების მიღებისა და საჩივრის განხილვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლის ტერიტორიაზე დაცულია უსაფრთხოების ნორმები. სკოლის ეზო შემოღობილია, დაცულია, ავტომობილებით შემოსვლა შეზღუდულია. სკოლას აქვს 2 ძირითადი და 4 სათადარიგო შემოსასვლელი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს იცავს დარაჯი. ხოლო დამხმარე მუშა აკონტროლებს უცხო პირთა შესვლაგასვლას შენობაში, რომელთა რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში. სკოლა აღჭურვილია 32 ვიდეოკამერით, რომელთა კონტროლი ხდება მონიტორების დახმარებით სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით. უსაფრთხოებაზე პასუხისგებელ პირს აქვს სათანადო სერტიფიკატი და გავლილი აქვს პროფესიული განვითარების კურსები. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული არიან დაწყებითი საფეხურის, ხოლო მეორე სართულზე - საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში რეგულირდება მოსწავლეთა სასკოლო ექსკურსიის დაგეგმვისა და უსაფრთხოების პასუხისმგებლობის პროცედურები. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და საგანგებო სიტუაციების მართვის ცხელი ხაზის ნომერი თვალსაჩინო ადგილზე. შექმნილია საგანგებო შტაბი. სკოლაში ასევე დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტი. დაწესებულებამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვითაც შენობის მდგომარეობა ჩათვლილია დამაკამყოფილებლად. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი და შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ყოველწლიურად ხდება ცეცხლმაქრების გადატუმბვა. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება შპს „პერგოლასთან“ სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა საჭიროებს განახლებას. სკოლას ყავს ექიმი და აქვს სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი აღჭურვილობით, რომელიც თავსებადია რეგულაციებთან. აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლას გაწერილი აქვს 11.07.2024-მდე. **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

2. სკოლას გააჩნია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 4 ოქტომბრის #2-72 ბრძანებით. წესი არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვლის მიზნით განსახორციელებელ პრევენციული ღონისძიებებს. წესში გათვალისწინებულია ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური თვალსაზრისით უსაფრთხოების დაცვის საკითხებიც. სკოლის შინაგანაწესში ასევე განსაზღვრულია რეგულაციები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებას გაცდენის, დაგვიანების, სკოლაში გამოუცხადებლობის, გაკვეთილების უნებართვოდ მიტოვების, დისციპლინარული დარღვევების შემთხვევებს; სკოლაში განსაზღვრულია მოსწავლეთა უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი; სკოლაში დაწესებულია მორიგეობა. დღის განმავლობაში სამუშაო საათებში დამხმარე მუშა, დამლაგებელი, დარაჯი მონაცვლეობით აკონტროლებენ უცხო პირთა შესვლა–გამოსვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას გააჩნია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 4 ოქტომბრის #2-72 ბრძანებით. წესი არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვლის მიზნით განსახორციელებელ პრევენციული ღონისძიებებს. წესში გათვალისწინებულია ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური თვალსაზრისით უსაფრთხოების დაცვის საკითხებიც. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ბავშვზე ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებული შიდა წესი, რომელიც ითვალისწინებს ძალადოს მსხვერპლის ამოცნობის, რეაგირების, გამოვლენის, ზედამხედველობისა და კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებს. სკოლას ჰყავს აღნიშნული მიმართულებით მანდარტურის სამსახურის მიერ გადამზადებული სათანადო კადრი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; რაც გულისხმობს სკოლის დერეფნების, საკლასო ოთახების, საპირფარეშოების ყოველდღიურ მოვლა პატრონობას; სკოლაში გვყავს 2 დამლაგებელი, რომელებიც ზრუნავენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. გვაქვს 5 სველი წერტილის კომპლექტი სადაც დაცულია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაბამისი პირობები და 2 საშხაპე, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი, დერეფნებში განთავსებულია 2 წყლის დისპენსერი, ხოლო თითოეულ სართულზე არის 2 სადეზინფექციო დისპენსერი. სკოლას აქვს სპეციალური ოთახი, სადაც ინახება ჰიგიენური საშუალებები. სკოლის დამლაგებლები ფუნქცია-მოვალეობები რეგულირდება ხელშეკრულებითა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. პერსონალურ მონაცემების დაცვაზე განსაზღვრულია სათანადო პირი. სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთან დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც დეტალურადაა აღწერილი დაწესებულის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. სკოლა ავალდებულებს ყველა მასწავლებელს და სხვა პერსონალს დაიცვას როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაცია. არ საჯაროვდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ასევე დაცულია მოსწავლეების და სკოლაში მომუშავე პერსონალის პირადი მონაცემები, რომლებიც განთავსებულია მათ პირად საქმეებში, როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალური სახით და მასზე წვდომა შეუძლია მხოლოდ პასუხისმგებელ პირს. კონფიდენციალურის საკითხი განსაზღვრულია სკოლის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში, მაგალითად ბავშზე ძალადობის პრევენციის დოკუმენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. ინფორმაცია დაცულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool). სადაც შექმნილია ცალკეული მასწავლებლების და მოსწავლეების პროფილები, რაზეც წვდომა შესაძლებელია პირადი კოდებით. პირად საქმეებთან წვდომა აქვს მხოლოდ დირექტორს, საქმისმწარმოებელს და დამრიგებლებს. ხოლო, მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ

სკოლას. ინფორმაციის დაცვის საკითხები ასევე რეგლირდება სკოლის სხვადასხვა დოკუმენტით, მაგალითად პერსონალურ მონაცემთან დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. .სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან დაკავშირებული მიდგომები აჩვენებს, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;
- შინაგანაწესი;
- ბავშვზე ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებული წესი;
- სკოლის დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- პერსონალურ მონაცემთან დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- ბრძანება საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება მოსწავლეთა უკონტაქტო დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ექსკურსიის განაცხადის ფორმა
- მშობლის თანხმობის ფორმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში უზრუნველყოფილია საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად. სკოლის შენობა სამ სართულიანია და სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სპორტდარბაზი, კომპიუტერების კაბინეტი, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა,სააქტო დარბაზი, ექიმის კაბინეტი, სკოლის ეზო,). სკოლა აშენებულია 2010-2011 წლებში, გათვლილია 600 მოსწავლეზე. გააჩნია დიდი შიდა სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, დიდი ბუფეტი, საშხაპეები და სასწყობე სივრცეები. აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. სკოლაში დაცულია ღიაობის, გამჭვირვალობის და მიუკერძოებლობის პრინციპი, სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის, დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას. უზრუნველყოფილია მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტული და უსაფრთხო აკადემიური სივრცე; ჩვენ მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, რესურსოთახით, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, სპორტული/სააქტო დარბაზით და სხვა. სამედიცინო კაბინეტში არის პირველადი დახმარებისთვის საჭირო ყველა რესურსი და მედიკამენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლა ნაწილობრივ ადაპტირებულია, სკოლას აქვს ლიფტი და აქვს პანდუსი, თუმცა არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილები, სხვა მხრის გათვალისწინებულია ფიზიკური გარემო მოსწავლეების საჭიროებისამებრ. არსებობს რესურს ოთახი, რომლითაც სარგებლობენ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მიწერილობა განათლების სამინისტროსადმი. აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების თარიღად განსაზღვრულია 31.10.2024. **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, პროექტები და ღონისძიებები. რეგულარულად იკრიბებიან მოსწავლეები ბიბლიოთეკაში , ხდება მუშაობა პრეზენტაციებზე, პროექტებზე და დავალებებზე. ეწყობა მოსწავლეთა ნახატების გამოფენა სკოლის დერეფანში. გაკვეთილების შემდეგ მოსწავლე იყენებს ბიბლიოთეკას როგორც სამკითხველოს, სპორტდარბაზს და სააქტო დარბაზს სპორტული და სხვა ღონისძიების მოსამზადებლად. მოსწავლე ასევე იყენებს სკოლის ეზოს სივრცეს სხვადდასხვა ატივობებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა). სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი გააჩნია ყველა საჭირო სასწავლო რესურსი, ესგ–ით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები. დამატებითი საგანმანათლებლო, მათ შორის ელექტრო რესურსები და სსსმ მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოები და სხვადასხვა თვალსაჩინოებები (რუკები, პლაკატები, მოდელი და ა.შ). სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტ რესურსებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო გარემოს კომფორტულობას. სკოლაში არის პროექტორი, მაგნიტური დაფები, თანამედროვე მუსიკალური ცენტრი და დინამიკები. კათედრებს აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები. სკოლის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია წიგნადი ფონდით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის სქემა-საკადასტრო აზომვითი ნახაზი.
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი აქტები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლა აქვს სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობა, პროექტორები, რომლებიც გამოიყენება საგაკვეთილო და არა საგაკვეთილო ღონისძიებებისთვის. მასწავლებელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, რაც ამარტივებს კომუნიკაციას და ადმინისტრაციული და სწავლა –სწავლების პროცესი 39 ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სრულყოფილად წარიმართება. სკოლის მთელ სივრცეში არის WiFi, რომლის გამოყენება შეუძლია, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებსაც. სკოლა აღჭურვილია კამერებით, რაც უსაფრთხოების ერთ– ერთი გარანტიაა. ასევე სკოლას აქვს ქსეროქსის ორი და პრინტერის ერთი აპარატი, ყველა მასწავლებელს შეუძლია საჭიროებისამებრ გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერით და შესაბამისი მომსახურეობით, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე პერსონალისთვის და მოსწავლეებისთვის. დაცულია გამოყენების მიზნობრიობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპები. კომპიუტერულ ლაბორატორიას გააჩნია თავისი მოხმარების განრიგი, (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი მოდიფიცირება) რომელიც გამოკრულია ლაბორატორიასთან. თავისუფალ დროს მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც, შეუძლიათ სარგებლობა კომპიუტერული ლაბორატორიით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გეგმა-გრაფიკი;
- კომპიუტერული ოთახის გამოყენების წესი;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამდადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმეობის ორგანიზებას და სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესით აზუსტს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი და ა.შ . მოსწავლეთა მოძრაობა, ჩარიცხვა–ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლა იყენებს სხვადასხვა ონლაინ პრალტფორმებს კომუნიკაციისა და სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სკოლის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- EFLOW, Escholl.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. სკოლის სოციალური ქსელი აქტიურია, სკოლა იყენებს თიმსის პლატფორმასაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის სოციალური ქსელი;**
- **სკოლის ვებგვერდი;**
- **კურიკულუმები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არსებულ ფინანსურ რესურსებს ეფექტიანად იყენებს ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას, სკოლა თავიდანვე განსაზღვრავს სავარაუდო შემოსავლებს და მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, საბიუჯეტო სკოლა ვაუჩერული დაფინანსების გარდა ღებულობს არასაბიუჯეტო შემოსავალს იჯარით გაცემული ფართიდან. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სკოლა ფინანსურად მდგრადია, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა წლის განმავლობაში პროგნოზებზე დაყრდნობით გეგმავს სკოლის ბიუჯეტს. დეკემბერში ხდება ბიუჯეტის დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე ზოგჯერ საჭიროა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. ბიუჯეტის კორექტირებაში გადაწყვეტილებას იღებს დირექცია და აცნობს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის ცვლილების შესახებ. ფინანსების მონიტორინგს აწარმოებს დირექტორი და სამეურვეო საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;
- ფინანსური დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. შინაგანწესი არეგულირებს დაწესებულებაში შემოსული საჩივრის რეგისტრაციის წესს. არსებობს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოჩვენს სკოლაში იწვევს სხდომებს და განიხილავს საჩივრების პროცედურებს. სკოლის დირექტორის 2023 წელის 21 სექტემბრის #2-51 ბრძანებით ასევე დამტკიცებულია სკოლაში განაცხადების მიღებისა და საჩივრის განხილვის წესი.დოკუმენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც არეგურირებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, ამ უფლებების დარღვევის გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებებს. დოკუმენტები საჯაროა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის დოკუმენტი გაზიარებულია საჯაროდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი.

1.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით. სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩარიცხვისა და შეფასებისას სარგებლობს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურებით. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“ შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. კონკრეტული ქეისები გადამოწმდა ადგილზე, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ამ ეტაპზე სკოლაში არ ფუნქციონირებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ფასიანი წრეები, გარდა ცეკვისა, რომლის მასწავლებელთან არის გაფორმებული ხელშეკრულება და იჯარით გადაცემული ფართი. სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს ეკო-კლუბი“ევერესტი“ რომლის საქმიანობა გაწერილია დებულებით, კლუბს აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია კლუბის წევრობის, პროგრამების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- სკოლის საინფორმაცია სისტემა (ვეგბვერდი, სოციალური ქსელი).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. პირველკლასელთა სკოლაში ადაპტაციას სწავლის დაწყებამდე, კლასის დამრიგებელი სწავლის დაწყებამდე ხვდება მშობლებსა და ბავშვებს ერთობლივად, აცნობს ერთმანეთს, ათვალიერებინებს სკოლის სივრცეს. სკოლას ასევე აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. მოსწავლეთა ადაპტაციის წესში გასაზღვრლია მოსწავლეთა ასაკობრივი ფაქტორებიდან გამომდინარე ადაპტაციის მექანიზმები, სკოლის მიერ განსახორციელებელი ვალდებულებები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლა ხელი შეუწყოს მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი. საჭიროების შეთხვევაში სხვადასხვა ტიპის კონსულტაციებს უწევენ პედაგოგები მოსწავლეებს. მასწავლებელი ხშირად არასაგაკვეთილო პროცესის ფარგლებში იმ მოსწავლეს დააძლევინოს გაუგებარი საკითხები, რომელიც გაუცდა გარკვეული მიზეზების გამო. მსგავსი შეხვედრები ხორციელდება როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ პლატფორმაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. დასახელდა კონკრეტული აქტივობები საგნობრივი პროგრამებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- კურიკულუმები.

1.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; სკოლას გამოცდილება აქვს პროფორიენტაციის გაკვეთილების ჩატარების, ამჟამად ,,კლასის საათი“-ზე საბაზო და საშუალო საფეხურზე დამრიგებლები განიხილავენ შემდეგ თემებს: მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიის არჩევის მნიშნელობაზე; პროფესიათა მახასიათებლებისა და კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელთათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გააზრება; სტერეოტიპების გავლენა და მათი მოქმედება; პროფესიათა მახასიათებლების გაცნობა, კონკრეტული პროფესიის როლის გააზრება; საქართველოში არსებულ პროფესიათა სფეროების გაცნობა. მომავალი სასწავლო წლიდან მასწავლებლები გეგმავენ განხორციელონ მიზნობრივ ექსკურსიები სახელმწიფო დაწესებულებებში (საკრებულო, ადგილობრივი თვითმმართვეთობა, სასამართლო, კადეტთა სკოლა, პოლიცია), სადაც მოსწავლეები ეცნობიან კონკრეტული სტრუქტურის საქმიანობას. სკოლას აქვს თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც სკოლაში აწყობენ პრეზენტაციებს საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის და აცნობენ მომავალ პროფესიებს. ასევე, სკოლაში ტრადიციად იქცა თვითმმართველობის ინიციატივა, პროექტი „ერთი დღე პროფესიაში“. ამ დღეს მოსწავლეები ირგებენ სკოლის ყველა თანამშრომლის როლს და წარმართავენ

პროცესებს. ასევე სკოლას ესტუმრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის ,,ჩვენი ჯარი"-ს ფარგლებში, სადაც ისაუბრეს კადეტთა კორპუსის შესახებ, ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდა სკოლის ფეისბუქგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები.

1.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლეთა მომსახურეობა ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას . 2022-2023სასწავლი წლის დასაწყისში სკოლაში ირიცხებოდა 4 სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე მოსწავლე. სკოლას აქვს რესურსოთახი. რესურსოთახი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, მრავალფეროვანი რესურსით და სსსმ მოსწავლეთათვის შექმნილია შესაბამისი გარემო. სკოლა ორიენტირებულია შექმნას პოზიტიური, უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც ძალიან მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის დროული იდენტიფიცირება და პირველადი მართვის გეგმის შედგენა. სპეციალურ საჭიროებაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში სკოლის შიდა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი პირველადად აფასებს მოსწავლის კოგნიტურ, აკადემიურ,ემოციურ, ფუნქციურ, მოტორულ უნარებს და ადგენს პირველადი მართვის გეგმას, გასცემს რეკომენდაციებს მასწავლებლისთვის და მშობლისთვის. არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.. სკოლას შემუშავებული აქვს პროცესის უკეთ წარმართვისთვის სამოქმედო გეგმა, რომელიც იქმნება წლის დასაწყისში. სამოქმედო გეგმაში მოცემულია სამომავლოდ განსახორციელებელი საკითხები. ინკლუზიური განათლების ცნობადობის და სოციალური კულტურის ამაღლების მიზნით სკოლაში ტარდება ღონისძიებები.სკოლის სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ღონისძიებაში: სპეც მასწავლებელი და საგნის მასწავლებლები ერთად გეგმავენ მონაწილეობის სტრატეგიებს, რათა მაღალი იყოს მოსწავლის ჩართულობა. სკოლის პედაგოგი მონაწილეობდა კონფერენციაში, სადაც ინკლუზიური განათლებლისთვის გამოიყო ცალკე პანელი, მისი მოხსენების თემა ეხებოდა კონპლექსური დავალების ადაპტაციის ხერხებს. პრეზენტაცია წარდგენილი იქნა რესპუბლიკურ კონფერენციაზე. ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, წლის განმავლობაში ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვის და განვითარების პროცესზე მონიტორინგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- კონფერენციის მასალები;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნები;
- მოსწავლის პირადი საქმეები.

1.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლეებისათვის არასავალდებულო ხასიათის მომსახურების მკაფიოდ განსაზღვრული სისტემა-მექანიზმები. კერძოდ, ტრანსპორტით მომსახურეობა - ბავშვებს ემსახურება 3 მიკროავტობუსი, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო გადაადგილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მძღოლების ტაბელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სასკოლო კურიკულუმი დაწყებით საფეხურზე	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა, შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის განვითარების პროცესში ასევე წარმოდგენილია მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და მოვალეობები. თითოეული კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში გათვალისწინებულია განსხვავებული ხედვები და პრიორიტეტები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლობენ, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და სწორედ ამის გათვალისწინებით ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს.თვითშეფასების კითხვარში გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ სკოლაში მასწავლებელი თავისუფალია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. უცხოური ენის კათერდის მასწავლებლებთან

საუბრისას განსაკუთრებით გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დანერგილი პრაქტიკაა კათედრის შეხვედრაზე სასწავლო წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების აკუმულირება, გაანალიზება რის საფუძვეზე ხდება ცვლილებების შეტანა და კურიკულუმის გაუმჯობესება. ამასთანავე, სკოლას აქვს მუდმივი და მჭიდრო კომუნიკაცია მშობლებთან როგორც პირისპირ-მშობელთა კრებების, ასევე ინდივიდუალურად ელ ფორმატით .

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

2. თითოეულ კათედრასთან საუბრითა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეფვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანამათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭირობები, მოსწვლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინეტერესები. მასწავლებლები კათედრებზე წარმოადგენენ ინდივიდუალ ხედვებს, კოლეგებთან ერთად განიხილავენ წინა წლის გამოცდილებას და გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით, სასწავლო მიზნების შესაბამისად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. სადამრიგებლო პროგრამის შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს, კერძოდ, კლასის საათის თემატიკას. ექსკურსიების მარშრუტის შერჩევაში მოსწავლეები და მშობლები იღებენ მონაწილეობას. სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებენ სხვადასხვა გზით (მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალური შეხვედრების დროს, სატელეფონო გასაუბრებით თუ სოციალური ქსელებით ურთიერთობის გზით, მოსწავლეებთან გასაუბრებით და ა.შ.).ამგვარად, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

2.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის მიხედვით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლები.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას მათ

ერთობლივად განსაზღვრეს სამომავლო გეგმები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, რომლის დროსაც ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და კონკრეტულ საჭიროებებს. მიუხედავად ამისა, სამომავლოდ ისინი გეგმავენ, კურიკულუმის შემუშავების პროცესში კიდევ უფრო მეტად ჩაერთოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით ისინი იყენებენ ანკეტირებას/გამოკითხვას, ხოლო დაგეგმილი სასკოლო პროექტები მორგებულია
კურიკულუმის ამოცანებსა და გრძელვადიან მიზნებზე.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივებების შესახებ მოსწავლეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ.ასევე სკოლას გააქტიურებული აქვს ვებგვერდი სადაც განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ. აქტიურად იყენებენ ფეისბუქ გვერდს რასაც მშობელთათვის და სოფლის თემისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი და ხშირადმოხმარებადი ხასიათით ასაბუთებენ. სკოლაში არსებობს მშობლების ინფომირების რამდენიმე პრაქტიკა-კომპლექსური დავალების ბარათების მშობლებთან გაზიარება და მშობლეთა კრებები,სადაც პედაგოგები ყურადღებით ეცნობიან მშობელთა მოსაზრებებს და ითვალისწინებენ მათგან მიღებულ უკუკავშირს;

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგებთან გასაუბრება
- სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- დაწყებითო საფეხურის საგნების კურიკულუმების ჩარჩოები

- დანართი 82. კომპლექსური დავალების ბარათების მშობლებისათვის;
- დანართი 59.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- დანართი#81 - ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- უცხოური ენის კათედრის ანგარიში
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები.
- სადამრიგებლო გეგმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

· **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

1.დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწყებითი საფეხურის კათედრის მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლო წლისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის, სადაც გაწერილია გრძელვადიანი მიზანი- სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის ჩარჩოებში , სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ერთ სემესტრში დაგეგმილია ერთი კომპლექსური დავალება. **საზოგადოებრივი** მეცნიერებები კათედრაზე საგანის ,,მე და საზოგადოება“ კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; აღნიშნულ დებულებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები: შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს; სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა ცნება. მე-3, მე-4 კლასების მე და საზოგადოების კურიკულუმები სწორი პრინციპით არის აგებული. ყველა თემაში არის დამუშავებული ყველა ცნება.საგან ,,ჩვენ საქართველოში“-ში მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმის ჩარჩოები ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს. თემებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. სკოლას **მიეცა რჩევა:** ჩვენი საქართველოსა და მე და საზოგადოების კურიკულუმები გაიწეროს სრულად, ყველა ცნებაზე გაიწეროს კომპლექსური ან სხვა ტიპის დავალებები. დაწყებით საფეხურზე **უცხოურ ენაში**წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები (პირველი და მეორე უცხოური ენა) 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში შეტანილი თემატური ერთეულები და შუალედური მიზნები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები კი მოიაზრებს მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენას და ინტერესის გამოწვევის პრაქტიკულ მაგალითს. ასევე, ინგლისური ენის V კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი შუალედური მიზანი: განცხადება/პოსტი სათაურით: „ჩემს შინაურ ცხოველს თქვენი დახმარება სჭირდება“., წარმოადგენს მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინების თვალსაჩინო ნიმუშს. დავალებაში წარმოდგენილი ქვესაკითხები მიემართება გრძელვადიან, ცოდნის სამივე კატეგორიაზე მორგებულ პროცესს. არსანიშნავია რომ, **მათემატიკი**ს კურიკულუმებთან მიმართებაში პედაგოგებს მიეცათ **რჩევა** პირველი და მეორე კლასის კურიკულუმები წარმოადგინონ სრული ფორმით. დაწყებით საფეხურის თითოეულ

კურიკულუმში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები , კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება ისეთი აქტივობების და სტრატეგიების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება ცოდნის აგებაში. ასევე სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები. **სპორტის** საგნობრივ კურიკულომებში დამატებით იკვეთება, რომ კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ამ ყველაფრის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

2.დაწყებით საფეხურზე ყველა საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ , კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები,სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სავალდებულო თემებზე შექმნილი კომპლექსური დავალებები ემიზნება გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, შედეგების ინდიკატორები), ქვეცნებებით კიდევ უფრო მკაფიოდ ხდება სამიზნე ცნებების დაზუსტება. კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს განუვითაროთ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებისყოფა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც მოხდება კომპლექსური დავალებისა და პროექტების ფარგლები .

კატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რისი დასტურიცაა სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ინკლუზიური მიდგომასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიის შესწავლით გამოიკვეთა, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის გამოცდილება, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ ხარვეზები პროგრამულ მასალასთან მიმართებით, შედეგების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებენ სარემედიაციო პროგრამას. დიფერენცირების მიზნით აქვთ სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარების გამოცდილება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ დაწყებით საფეხურზე საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შესთავაზბენ ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს. მოახდენენ კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას და მოსწავლეებს შესთავაზობენ კომპლექსური დავალების პროდუქტი სასურველი ფორმით წარმოაჩინონ. სპორტის მიმართულებით მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან
გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია კომპლექსურ დავალებებში. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა განმარტეს, რომ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება ხდება პროდუქტის, შინაარსის, გარემოსა და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, გასული სასწავლო წლის ინდ გეგმებიდან ჩანს , რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესი ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს
წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, გასული სასწავლო წლის ინდ გეგმებიდან ჩანს , რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესი ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, განმავითარებელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით. სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის

ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილი, ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. უცხოური ენების კათედრის მიერ პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იყო შეფასების რუბრიკები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებდნენ გასულ სასწავლო წლებში. რუბრიკები არ მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა განახლებული ,2023-2024 სასწავლო წლისთვის შედგენილი რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაშია სწავლების გრძელვადიან მიზნებთან. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების სანიმუშო რუბრიკები თემის ფარგლებში მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. მაგალითად VI კლასის ინგლისური ენაში წარმოდგენილი რუბრიკა თემისთვის : “words, words, words” და VI კლასის რუსულ ენაში რუბრიკა თემისთვის „Мы читаем сказки“ ამ მტკიცებულების დასწურია. განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში II კლასის ინგლისური ენის კომპლექსურ დავალებაში საკითხით ,*პრეზენტაცია ცხოველის დახასიათების მიზნით*“- სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გააზრებისკენ ორიენტირების მაგალითს წარმოადგენს. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კურიკულუმის პირველადი ვერსიის მომზადების ეტაპზე კათედრას არ ჰქონდა გააზრებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების ფორმების არსი და მნიშვნელობა და საჭიროებდნენ დროს ამ საკითხში გარკვევას.

ასეთივე მდგომარეობა გამოიკვეთა ტექნოლოგიების მიმარტულებითაც, რადგან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგს აქვს მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოოს მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. თუმცა ასევეგამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი **პროცესი.კათედრაზე ჩანს, რომ გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა და სასურველია მოხდეს ერთობლივი დამუშავება.**

სპორტის მასწავლებლები იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და რიცხვებში აღწერენ ბავშების განვითარებას, რაც საბოლოო

განმავითარებელ შეფასებებში თვალსაჩინოს ხდის ბავშვის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე და ზრდის მათი განვითარების პოტენციალს. ბავშვები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარეც, რამდენად კარგად იცავენ იმ იმ ჰიგიენურ ნორმებს რაც საჭიროა სასაკის შესაბამისად. ასევე მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის გაღვივებაში. რაც გამოხატულია მასწავლებლების

მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში.

მასწავლებლები ყველა კატედრაზე აღნიშნავდნენ რომ დაწყებით საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ კომენტარს და რომ მოსწავლეებს მასწავლებლები ყოველი აქტივობის შემდეგ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა და შესაზლებლობა ეფექტურად გამოიყენოს სასწავლო პროცესში.

2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია რაც უზრუნველყოფს მოსაზრებას , რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილების ანალიზი. ამ ეტაპზე სკოლის თვითშეფასების ფორმას და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ინფორმაციის და კათედრებან გასაუბრების თანახმად დგინდება, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმიები ასახავს წინა წლის გამოცდილებას. კათედრებს აქვთ პრაქტიკა და მოტივაცია სასწავლო პროცესის პარალელურად დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ კურიკულუმის შინაარსი, გამომდინარე მიმდინარე პროცესებიდან. საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისას დასმულმი დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა -მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დროის მენეჯმენტი და მშობელთა წინასწარი ინფორმირება კომპლექსურ დავალებებზე გახდა სამომავლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტები. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. დაწყებითი კლასების საბუნებისმეტყველო მეცინიერებების კომპლექსური დავალების მატრიცა, მეხუთე-მეექვსე კლასების კურიკულუმები ცხადყოფს, როგორ გაითვალისწინება მოსწავლეთა მზაობა და როგორ იგება შემდგომი ცოდნა. დიაგნოსტიკაზე დაფუძნებული სწავლება სკოლის ხედვის დოკუმენტშია გაწერილი, რაც გულისხმობს წინარე გამოცდილების მაგალითზე სასწავლო პროცესის დანერგვას. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა კურიკულუმის დაგეგმვის პროცესსი გაითვალისწინოს წინარე პროცესების ანალიზი.

1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024
- პრეზენტაციის, პროექტის შეფასების რუბრიკა;
- კურიკულუმის ჩარჩოები კლასების მიხედვით;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- რესურსი - 12 - კათედრის ოქმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- კომპლექსური დავალება V კლასი -ზღაპარი;
- დანართი 83. ბრძანება ისგ - შექმნის შესახებ;
- დანართი 86. ადაპტირებული კომპლექსური დავალება;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები,
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა,
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

1 საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეებიდან კარგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. დაწყებით საფეხურზე ,სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული საკლასო თუ სასკოლო აქტივობების ამსახველი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.მაგალითად უცხოურ ენებში, IV კლასში დავალება საკითხით აღწერითი წერილობითი ტექსტი "პერსონაჟის ერთი დღე" დავალების პირობა ასეთია: ნახეთ ვიდეო მოცემულ ლინკზე One Day. მოუფიქრეთ სახელი მოქმედ პირს და აღწერე მისი დღე წერილობით ტექსტში; ასევე, სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილია აქტივობა VI კლასში: პოსტერის შექმნა და პრეზენტაცია თემაზე: ტოლერანტობა მტკიცებულების დასტურია. დავალებები მრავალფეროვანია სპორტში, მოიცას სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ

ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი, შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუდნების სიგელებეს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

2. მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნის გამოცდილებაზე დაყრდნობით. კერძოდ:კურიკულუმებში გაწერილი თემა არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი,რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას,დამუშავებასა და გააზრებაში. პედაგოგებმა ინტერვიურების დროს მკაფიოდ აღნიშნეს,რომ მომავალი სასწავლო წლიდან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ახალი საგაკვეთილო თემების კავშირს წინარე ცოდნასთან , რადგან მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაშენებით უკეთ შეუძლიათ ახალი ახალი ცოდნის დაშენება, მიღებული ინფორმაციის (ცოდნის) დახარისხება , შედარება წინა გამოცდილებასთან, დასკვნების გამოტანა, დამოუკიდებელი აზროვნება, რისთვისაც აქტიურად იქნება გამოყენებული : გონებრივი იერიში, როლური თამაშები, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა,დისკუსია . სკოლის აქვს შესაბამისი წინარე გამოცდილება, ხედვა და მზაობა ახალი ცოდნის კონსტრუირება განახორციელოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

3 დაწყებითი საფეხურის კათედრების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეაზე, დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან კომპლექსური ტიპის დავალებებით სასწავლო პროცესის წარმართვა საშუალებას იძლევა, მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებასათვის.სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს , რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში დაგეგმილი აქვთ სწავლის სწავლაზე,კერძოდ საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნას ისე, რომ მასში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებების ყოველი ნაბიჯი განხორციელდეს ისეთი აქტივობებით

და სტრატეგიებით, რომ მასწავლებლის მხრიდან წახალისებული იყოს მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი/თანატოლის სწავლის პროცესზე დაკვირვება, თვითშეფასება/თანატოლთა შეფასება, რათა დაფიქრდეს, თუ რა არის უკეთესი მისი წინსვლისა და პროგრესისავის. მოსწავლეებს უხდებათ, სხვადასხვა თეორიული მასალის ათვისება და შემდეგ პრაქტიკაში გადატანა, პრეზენტაციების კეთება, ფესტივალებზე მონაწილეობა ამ გამოცდილებებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა.სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეტდეს სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

4.დაწყებითის კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებები კი ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად აქტიური სამუშაო პროცესისა საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები აცხადებენ, რომ პირობისეული ცოდნის მიღწევა დაწყებით საფეხურზე , ჯერ კიდევ გამოწვევაა . საგნებში „ჩვენი საქართველო“ და „მე და საზოგადოება“ ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომელბიც ეყრდნობა ცოდნის სამ კატეგორიას.ასევე შეიძლება დავეყრდნოთ უცხოური ენის კათედრაზე მე-6 კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება საკითხით პოსტერის/ სლაიდების პრეზენტაცია: „მნიშვნელოვანი ცხოველები ამერიკელებისა და ქართველების ცხოვრებაში“ შესახებ მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას მოიაზრებს ტექსტის (პრეზენტაციის), ენობრივი საშუალებების და სამეტყველო ქმედებების ცნებების დამუშავების გზით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. დაწყებითი სფეხურის მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და მზაობა.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

5. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, სხვადასხვა საგნის ინტეგრირებულად და ურიერთდაკავშირებულად სწავლების შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სადამრიგებლო დებულებისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით, მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად სკოლას მიაჩნია მოსწავლეთთვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების შეთავაზება, ასევე მასწავლებლეთა გააქტიურება სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს სხვადასხვა საგნების ინტეგრირებულად და უთიერთადაკავშირებულად სწავლების გამოცდილება ამის მაგალითია ინტეგრირებული გაკვეთილები მათემატიკა-ბუნება, მათემატიკა-მუსიკა, მათემატიკა-ისტი. ახალ სასწავლო წელს კათდრა ვგეგმავს, გააუმჯობესოს და დახვეწოს ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების განხორციელების პრაქტიკა.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- დაწყებითის საგნებისკურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- კათედრების ოქმები,
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- დანართი N89 სასწავლო პროექტი "ჯანსაღი კვება და პროდუქტები"
- დანართი 91. პროექტი"ჯანსაღი ცხოვრების წესი"
- სკოლის Facebook გვერდი https://www.facebook.com/chxari.chxari
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები/ პროექტები

- განხორციელებული ინტეგრირებული დავალება (ჩვენი საქართველო, ხელოვნება)
-

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული სამიზნე ცნებები /ქვეცნებები , თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოები საგანი ,,ჩვენი საქართველო“და საგანი ,,მე და საზოგადოება“, უმეტესად არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს

გამოიკვეთა,რომ გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს , საკვანძო შეკითხვებს შორის.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

2.მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა.

ამ მიმართულებით განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ესთეტიკის კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი სხვადსახვა სოციალური პროექტები მაგ: გამოფენები, ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები, სხვადასხვა დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვა ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირება.ინგლისურ ენის VI კლასში წარმოდგენილ თემების მაგალითებია: სასკოლო კლუბები და მოსწავლეთა ყოველდღიური ცხოვრება, ოჯახი და ურთიერთობები, კინო, მუსიკა და გართობა, მსოფლიოს მრავალფეროვანი ადგილები და აშ..მსგავსი შინაარსის დავალებები და აქტივობები ზრდის მიკეთვნებულობის და შინაგანი მოტივაციის ზრდის კარგ საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

3.კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას, კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას და იდენტიფიცირებულია მოსწავლეთა მიღწევის დონე. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში გვხვდება ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები როგორებიცაა: პრეზენტაციის შეფასების ზოგადი რუბრიკა, დისკუსიის შეფასება. გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებლები იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას, სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ კუთხით კიდევ უფრო მეტად განვითარდებიან. მატემატიიკის კათერდა განსაკუთრებით კარგად იყენებს თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ერთერთ გამოწვევად მიაჩნიათ სწავლა-სწავლების პროცესში და ამ მიმართულებით მოსწავლის ხელშეწყობის გზად მიიჩნევენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას და მოსწავლის სათანადო შეფასებას, რასაც დაწყებით საფეხურზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

4. დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას საფეხური შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. მართალია ტექნოლოგიების მიმართულებით პედაგოგმა ვერ წარმოადგინა შეფასების სისტემა, მაგრამ გასაუბრებისას გამოიკვეთა, კათედრა იყენებს შეფასებისათვის სხვადასხვა ფორმებს. უნდა აღინიშნოს, რომ შერჩეული კომპლექსური დავალებების , აუცილებელ კომპონენტს შეადგენს შეფასების კრიტერიუმები და მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება.დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში) შეფასება და სოლო

ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5 სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

5.. სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი . განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. ასევე კათედრის დონეზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების და შეფასების განხილვა და ანალიზი. წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმი ადგენს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტანდარტით მოთხოვნილი შესაბამისობას.კერძოდ, "შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური), ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზეწინა სასწავლო წლის მონიტორინგი და შეფასება გაწერილია პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი სხდომის ოქმში, მასწავლებელთა შიდა შეფასების ფურცლები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, ხარისხის ჯგუფის დებულებაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის სისტემა. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან და საჭიროების შემთხვევევაში ეძლევა უკუკავშირი.თვითშეფასების კითხვარში წერია და მასწავლებლებთან საუბრისას დასტურდება, რომ დაწყებითი საფეხურის პედაგოგები წერენ განმავითარებელ კომენტარებს როგორც ელექტრონულ ჟურნალში ასევე მოსწავლეთა პირად საქმეებში.ხშირად ხდება საგაკვეთილო მონიტორინგი/ურთიერთდასწრება, კოლეგების მხრიდან. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

6. კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები როგორიცაა: გასული წლის ოქმები, ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები, რეფლექსიები, გასულ წლებში ჩატარებული გაკვეთილის გეგმები და უკუკავშირები, აგრეთვე მოსწავლეთა ელექტრონული

ჟურნალი, მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათში ასახული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებები ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან და დირექტორთან განხორციელებული ინტერვიუ.
- შეფასების რუბრიკა დაწყებითი სფეხურისათვის;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- დანართი 74.ვერიფიკაციის მექნიზმი;
- სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
2. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
3. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

1წარმოდგენილი დოკუმენტებში და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის სტრატეგიული გეგმებში, რომელშიც მკაფიოდ არის მონიშნული სკოლის მისია და

ღირებულებები ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისათვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოთ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობრივი მუშაობით, ერთობრივი ძალისხმევით განხორციელებულ პროექტებში და ინტეგრირებულ გაკვეთილებში.სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, პედაგოგები მხარს უჭერენ არამარტო ერთმანეთის იდეებსა და ინიციატივებს,

არამედ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად

ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებს, ინტერესები და შეხედულებებს. სკოლაში არსებობს „კრიტიკული

მეგობრის“ ინსტიტუტი, ხდება იდეების და ინიციატივების წახალისება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. იგეგმება და ხორციელდება პროექტები, (მათ შორის სსსმმ საჭიროებების შესაბამისი).

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები

აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს. იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. სკოლა ახორციელებს არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობები და პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. ყოველივე ზემოარნიშნულის გათვალისწინებიტ სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

3. დაწყებითი საფეხურის კათედრის წარმოდგენილი სხდომის ოქმებიდან, სკოლის თვითშეფასების ფორმიდან , კურიკულუმის დანერგვისა და განივთარების მეთოდოლოგიის ჩარჩოდან , ასევე კათედრასთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა , რომ მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, ხდება ერთმანეთის მოსაზრებების, გამოცდილების გაზიარება და ამის შესაბამისად ახალ სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესების, აქტივობების დაგეგმვა. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას , ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით“ , თანამშრომლობისკარგი მაგალითია ინტეგრირებული გაკვეთილები, მათემატიკა-ბუნება, მათემატიკა-მუსიკა, მათემატიკა-ისტი, რაც შეეხება მშობლებთან ურთიერთობას, სურვილის შემთხვევაში მშობლებს აქვთ შესაძლობლობა დაესწრონ გაკვეთილებს, პედაგოგებმა ინტერვიურებისას ისაუბრეს , რომ სამომავლოდა აპირებენ მშობლებთან უფრო მეტად თანამშრომლობას და კომუნიკაციას, რისთვისას დაიგეგმება როგორც ფორმალური ასევე არაფორმარული აქტივობები. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის მომზადების პროცესი დაფუძნებულია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში, რასაც ასევე ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ინფორმაცია; კათედრების ოქმებით დგინდება, რომ კათედრის ყველა წევრი თანაბრადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის დახვეწა/შემუშავებაზე და სხვა აქტივობების დაგეგმვაზე, იცნობენ ერთმანეთის განხორციელებულ პროექტებსა და კომპლექსურ დავალებებს.

მშობელთა კრების ოქმიდან ირკვევა, რომ მშობლები დამრიგებლის მხრიდან ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესის წარმართვის პროცესებზე. კომუნიკაციის და თანამშრომლობითი კულტურის გაზრდის მიზნით კათეტრებზე იყენებენ

“კრიტიკული მეგობრის” ისნსტრუმენტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებული

4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

4. სკოლის მისიისა და თვითშეფასების მიხედვით სკოლასა და კლასის დონეზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. ამის დასტურია, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები როგორც ფორმალური ისე არაფორმალური სწავლების დროს.ინტერვიუს მიმდინარეობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სკოლის დირექციას და მასწავლებლებს აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, ხდება გამოცდილების გაზიარება, როგორც დირექციას ასევე კათედრებს შორის . სპორტის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოზიტიური განწყობის შენარჩუნება. მასწავლებლები კარგად ახერხებენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიურიკლიმატის უზრუნველყოფას, რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართული ფესტივალების ორგაიზებაში და
ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას
სკოლაში ბოლო დროს განხორციელებული პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, მშობელთა კრების ოქმები, კონფერენციები ცხადყოფს სკოლაში ჩამოყალიბებულ ჰარმონიულ ატმოსფეროს. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად იკვეთება პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024
- დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სხდომის ოქმი
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- დანართი 93.დაწყებითი საფეხურის გაკვეთილებზე დასწრების მასალები (კრიტიკული მეგობარი და 5 კლ. გაკვეთილის გეგმა)
- სკოლის ფეისბუქ გვერდი
- უცხოური ენების კათედრის პორტფოლიო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

1. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. არსებობს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით შექნილი რეფლექსიები და თვითრეფლექსიები, ამ ეტაპზე სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოოგია, ასევე ვერიფიკაციის მექანიზმი რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილია მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო. სკოლის პერსონალთან ინტერვიურების პროცესში იკვეთება, რომ აღნიშნული ჩარჩო-დოკუმენტი ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს ესტეტიკის კათერდამ ხაზი გაუსვა რომ, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდა წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლოპროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა;

2.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

2. სკოლის დოკუმენტაციით, გაკვეთილზე დასწრების რუბრიკებით და ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, კათედრის წევრები ესწრებოდნენ გაკვეთილებს და კოლეგას რეფლექსიის სახით სთავაზობდნენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. სკოლის პედაგოგებს გააზრებული აქვთ შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა, თვლიან რომ იგი ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშოწყობას. თვითშეფასების ფორმიდან და სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების მხრივ მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სკოლაში სწავლის ხარისხის შეფასება მოხდეს სამჯერ : წლის დასაწყისში, რაც გულისხმობს ფუნდამენტურ კვლევას სასტარტო პოზიციის შესაფასებლად,სემესტრის დასასრულს, რათა შეფასდეს პროგრესი და საჭიროებათა შემთხვევაში გადაიხედოს მიზნის მისაღწევი გზები და ბოლოს წლის დასასრულს, სადაც მოხდება შედეგების შედარება და გაანალიზება. სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

2.3.1.2 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

3. საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩოს“, თვითშეფასების გაცნობისა და პედაგოგებთან ინტერვიურების შედეგად იკვეთება, რომ სკოლა გეგმავს და არის მზად გააკეთოს გარკვეული ნაბიჯები, იმისათვის, რომ გაუმჯობესოს მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები და მათზე დაყრდნობით დაისახოს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები.კერძოდ:2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის სუფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოყოფს სამუშაო ჯგუფს, სასკოლო საზოგადოება ასახავს კურიკულუმის სუსტ და ძლიერ მხარეებს, შეფასების ნაწილში მოხდება მისი ეფექტიანობის, შესაბამისობის და ქმედითობის განსაზღვრა.**ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმის განვითარება(მეთოდოლოგიური ჩარჩო)
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024

- სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- დანართი#81 - ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი;
- შემაჯამებელი ოქმი ხელოვნება
- შემაჯამებელი ოქმი მუსიკა
- მასწავლებლებთან გასაუბრება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

1.კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის თანახმად სკოლა მონიტორინგის და შეფასების საშუალებით პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს წარმოაჩენს. შემუშავებული კათედრის სამოქმედო გეგმა, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვის მიზანს წარმოადგენს პასუხი გაეცეს როგორ დავძლიოთ შედეგების ანალიზით გამოკვეთილი გამოწვევა და რა იქნას გათვალისწინებული მომავალი დაგეგმვისას. ეს ფაქტორი კათედრას ძალიან კარგად აქვს გააზრებული. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას ყურადღება გამახვილდა , რომ 2023-24 სასწავლო წლისთვის კათედრაზე იგეგმება რუბრიკების უფრო მეტად გამრავალფეროვნება. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა შეფასება ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

2. ისგ, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკა და კათედრის ოქმში მოცემული ინფორმაცია შემაჯამებელი დავალებების განხილვასთან დაკავშირებით უზრუნველოფს იმას, რომ შეფასება ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.სკოლას აქვს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევების გამოცდილება, სადაც იკვეთება, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც ასახავს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას მოსწავლეთა შეფასებისას. ხდება ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული საერთაშორისო კვლევების დასკვნებისა და განზოგადებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა თუ განხორციელების პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. დაწყებით საფეხურზე გაერთიანებული საგნების მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლ გეგმის საფუძველზე. კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).**ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

3. შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას

აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

4. შესწავლილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ : მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები; ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და შეფასების ინდიკატორების მიხედვით შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ამ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- კათედრების ოქმები, რესურსი 12
- სადამრიგებლო პროგრამები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ;
- დაწყებითის კათედრაზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები

- ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება შეფასების რუბრიკით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია. გარდა ამისა, კათედრის ოქმში აღწერილია შეფასების ის მიმართულება რაც უნდა შეიცვალოს მომდევნო წელს კურიკულუმის გაწერისას. შესაბამისად, შემუშავებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად კათედრა მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენს პროცესების რეფლექსიას, აღწერს მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწავს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნულიდან გამომდინარე გამომდინარე, აქვს მზაობა სამომავლოდ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

2..სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ,რომელშიც გაწერილია მიმდინარე კურიკულუმის შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის განხორციელების მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლას ჯერ არ აქვს სასკოლო კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, სადაც ასახულია მოსწავლეთა შედეგები საფეხურებისა და საგნების მიხედვით, ასევე არ იკვეთება სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემების ასახვა რაიმე სახით (ცხრილები, დიაგრამები, პრეზენტაციები), მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. ეს გამოცდილება გათვალისწინებული არის დაწყებითი საფეხურის დონეზეც რაც დადასტურებულია კათედრის ოქმში მოცემული ინფორმციით. ვინაიდან სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასების არწერილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიურ ჩარჩოში და სკოლა ამ ეტაპზე გადის პირველად ავტორიცაციას, შეგვიძლია ვთქვათ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- ვერიფიკაციის მექანიზმი.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**
- **დაწყებითი კლასების კათედრის სხდომის ოქმი**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საბაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურზე	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა, შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის განვითარების პროცესში ასევე წარმოდგენილია მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და მოვალეობები. თითოეული კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში გათვალისწინებულია განსხვავებული ხედვები და პრიორიტეტები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლობენ, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და სწორედ ამის გათვალისწინებით ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს.თვითშეფასების კითხვარში გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ სკოლაში მასწავლებელი თავისუფალია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. უცხოური ენის კათერდის მასწავლებლებთან საუბრისას განსაკუთრებით გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დანერგილი პრაქტიკაა კათედრის შეხვედრაზე სასწავლო წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების აკუმულირება, გაანალიზება რის საფუძვეზე ხდება ცვლილებების შეტანა და კურიკულუმის გაუმჯობესება. ამასთანავე, სკოლას აქვს მუდმივი და მჭიდრო კომუნიკაცია მშობლებთან როგორც პირისპირ-მშობელთა კრებების, ასევე ინდივიდუალურად ელ ფორმატით .
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

2. თითოეულ კათედრასთან საუბრითა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეფვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები. საბაზო საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანამათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭირობები, მოსწვლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინეტერესები. მასწავლებლები კათედრებზე

წარმოადგენენ ინდივიდუალ ხედვებს, კოლეგებთან ერთად განიხილავენ წინა წლის გამოცდილებას და გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით, სასწავლო მიზნების შესაბამისად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. სადამრიგებლო პროგრამის შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს, კერძოდ, კლასის საათის თემატიკას. ექსკურსიების მარშრუტის შერჩევაში მოსწავლეები და მშობლები იღებენ მონაწილეობას. სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებენ სხვადასხვა გზით (მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალური შეხვედრების დროს, სატელეფონო გასაუბრებით თუ სოციალური ქსელებით ურთიერთობის გზით, მოსწავლეებთან გასაუბრებით და ა.შ.).ამგვარად, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

2.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3 კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის მიხედვით საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლები. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას მათ ერთობლივად განსაზღვრეს სამომავლო გეგმები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, რომლის დროსაც ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და კონკრეტულ საჭიროებებს. მიუხედავად ამისა, სამომავლოდ ისინი გეგმავენ, კურიკულუმის შემუშავების პროცესში კიდევ უფრო მეტად ჩაერთოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით ისინი იყენებენ ანკეტირებას/გამოკითხვას, ხოლო დაგეგმილი სასკოლო პროექტები მორგებულია განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მოსწავლეებზე,მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება ფორმალური თუ არაფორმალური აქტივობები: სასწავლო პროექტები, სპორტული ღონისძიებები, სასკოლო კლუბები და ა.შ., მშობლებთან მშობელთა კრებებსა და ინდივიდუალური შეხვედრების დროს, ასევე სატელეფონო კომუნიკაციისას განიხილება კურიკულუმთან დაკავშირებული საკითხები. სასკოლო ადმინისტრაციაც მუდმივად არის ჩართული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

კურიკულუმის ამოცანებსა და გრძელვადიან მიზნებზე.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4 კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

4. საბაზო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივებების შესახებ

მოსწავლეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ.ასევე სკოლას გააქტიურებული აქვს ვებგვერდი სადაც განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ. აქტიურად იყენებენ ფეისბუქ გვერდს რასაც მშობელთათვის და სოფლის თემისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი და ხშირადმოხმარებადი ხასიათით ასაბუთებენ. სკოლაში არსებობს მშობლების ინფომირების რამდენიმე პრაქტიკა-კომპლექსური დავალების ბარათების მშობლებთან გაზიარება და მშობლეთა კრებები,სადაც პედაგოგები ყურადღებით ეცნობიან მშობელთა მოსაზრებებს და ითვალისწინებენ მათგან მიღებულ უკუკავშირს;

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგებთან გასაუბრება
- სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- საბაზო საფეხურის საგნების კურიკულუმები
- საგნობრივი კურიკულუმები: მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია
- დანართი 98 - კომპლექსური დავალების ბარათები მშობლებისთვის
- დანართი 82. კომპლექსური დავალების ბარათების მშობლებისათვის;
- დანართი 59.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- დანართი#81 - ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- უცხოური ენის კათედრის ანგარიში
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები.
- სადამრიგებლო გეგმები

- სასკოლო სასწავლო გეგმა

· **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

1.საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საბაზო საფეხურის კათედრების მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლო წლისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის, სადაც გაწერილია გრძელვადიანი მიზანი- სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის ჩარჩოებში , სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ერთ სემესტრში დაგეგმილია მინიმუმ ერთი

კომპლექსური დავალება. **საზოგადოებრივი** მეცნიერებები კათედრაზე გაერთიანებულ სამივე საგნის ფარგლებში VII-IX კლასებში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა სავალდებულო კომპონენტი თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი და სასწავლო რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული. შემოთავაზებულია მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტით საკითხთა კლასტერები, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, მაგ: მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში თემა „სამოქალაქო საზოგადოება“, საკითხი: აქტიური მოქალაქეობა და საინიციატივო ჯგუფები, მუშავდება მიზნობრივად შერჩეული კონტექსტ-მაგალითისა და მაგალითები შედარებისთვის საშუალებით, ასევე მიზნობრივად მიემართება ცნებებს / დემოკრატია და სამოქალაქო მონაწილეობა/ საბოლოოდ კი იქმნება მოსწავლეთა ინტერესებზე გათვლილი და ორიენტირებული პროდუქტი- სტატია აქტიური მოალაქეობის შესახებ..

რჩევა: სრულად გაიწეროს საბაზო საფეხურზე მოქალაქეობის, ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმები. ყველა ცნება დამუშავდეს კომპლექსური ტიპის დავალებებით, რადგან სამივე საგნის კურიკულუმებში ერთ ან ორ ცნებაზეა წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის.
საბაზო საფეხურის თითოეულ კურიკულუმში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები , კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება ისეთი აქტივობების და სტრატეგიების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება ცოდნის აგებაში. ასევე სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები. **სპორტის** საგნობრივ კურიკულომებში დამატებით იკვეთება, რომ კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ამ ყველაფრის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

2.საბაზო საფეხურზე ყველა საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ , კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები,სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სავალდებულო თემებზე შექმნილი კომპლექსური დავალებები ემიზნება გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, შედეგების ინდიკატორები), ქვეცნებებით კიდევ უფრო მკაფიოდ ხდება სამიზნე ცნებების დაზუსტება. კომპლექსური დავალებების განხორციელების

პროცესში მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს განუვითაროთ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებისყოფა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც მოხდება კომპლექსური დავალებისა და პროექტების ფარგლები .

კატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

3.სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რისი დასტურიცაა სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ინკლუზიური მიდგომასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიის შესწავლით გამოიკვეთა, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის გამოცდილება, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ ხარვეზები პროგრამულ მასალასთან მიმართებით, შედეგების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებენ სარემედიაციო პროგრამას. დიფერენცირების მიზნით აქვთ სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარების გამოცდილება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ საბაზო საფეხურზე საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შესთავაზებენ ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს. მოახდენენ კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას და მოსწავლეებს შესთავაზობენ კომპლექსური დავალების პროდუქტი სასურველი ფორმით წარმოაჩინონ. სპორტის მიმართულებით მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან
გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია კომპლექსურ დავალებებში. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა განმარტეს, რომ

კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება ხდება პროდუქტის, შინაარსის, გარემოსა და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. უცხოური ენის კათედრას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლესთვის (VIII კლასი), როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოურ ენაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, გასული სასწავლო წლის ინდ გეგმებიდან და თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს , რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესი ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, გასული სასწავლო წლის ინდ გეგმებიდან ჩანს , რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესი ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

4.შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით. სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები.სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილი, ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. უცხოური ენების კათედრის მიერ პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იყო შეფასების რუბრიკები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებდნენ გასულ სასწავლო წლებში. რუბრიკები არ მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა განახლებული ,2023-2024 სასწავლო წლისთვის შედგენილი რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაშია სწავლების გრძელვადიან მიზნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებეის კათედრაზე საბაზო საფეხურზე სამივე საგანში წარმოდგენილია ერთ-ერთი, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. რუბრიკების მიხედვით შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნებებიდან და მკვიდრი წარმოდგენებიდან, განმავითარებელი შეფასების დროს, ხოლო ცნებებიდან და შედეგების შეფასების ინდიკატორებიდან განმსაზღვრელი შეფასების

დროს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** გადაიხედოს დანართი N121 შეფასების რუბრიკები, სადაც ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა ქულებზეა გაწერილი, ამავე დოკუმენტში შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, რომელიც მხოლოდ განვლილი მასალის ცოდნის შემოწმებაზეა ორიენტირებული.

სპორტის მასწავლებლები იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და რიცხვებში აღწერენ ბავშების განვითარებას, რაც საბოლოო განმავითარებელ შეფასებებში თვალსაჩინოს ხდის ბავშვის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე და ზრდის მათი განვითარების პოტენციალს. ბავშვები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარეც, რამდენად კარგად იცავენ იმ იმ ჰიგიენურ ნორმებს რაც საჭიროა სასაკის შესაბამისად. ასევე მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის გაღვივებაში. რაც გამოხატულია მასწავლებლების მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში. მასწავლებლები ყველა კატედრაზე აღნიშნავდნენ რომ საბაზო საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ კომენტარს და რომ მოსწავლეებს მასწავლებლები ყოველი აქტივობის შემდეგ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა და შესაზლებლობა ეფექტურად გამოიყენოს სასწავლო პროცესში.

2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

5. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია რაც უზრუნველყოფს მოსაზრებას , რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილების ანალიზი. ამ ეტაპზე სკოლის თვითშეფასების ფორმას და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ინფორმაციის და კათედრებან გასაუბრების თანახმად დგინდება, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმიები ასახავს წინა წლის გამოცდილებას. კათედრებს აქვთ პრაქტიკა და მოტივაცია სასწავლო პროცესის პარალელურად დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ კურიკულუმის შინაარსი, გამომდინარე მიმდინარე პროცესებიდან. საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისას დასმულმი დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში

განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა -მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დროის მენეჯმენტი და მშობელთა წინასწარი ინფორმირება კომპლექსურ დავალებებზე გახდა სამომავლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტები. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. საბაზო კლასების საბუნებისმეტყველო მეცინიერებების კომპლექსური დავალების მატრიცა, მეხუთე-მეექვსე კლასების კურიკულუმები ცხადყოფს, როგორ გაითვალისწინება მოსწავლეთა მზაობა და როგორ იგება შემდგომი ცოდნა. დიაგნოსტიკაზე დაფუძნებული სწავლება სკოლის ხედვის დოკუმენტშია გაწერილი, რაც გულისხმობს წინარე გამოცდილების მაგალითზე სასწავლო პროცესის დანერგვას. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა კურიკულუმის დაგეგმვის პროცესსი გაითვალისწინოს წინარე პროცესების ანალიზი.

1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024
- პრეზენტაციის, პროექტის შეფასების რუბრიკა;
- კურიკულუმის ჩარჩოები კლასების მიხედვით;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- რესურსი - 12 - კათედრის ოქმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- დანართი 83. ბრძანება ისგ - შექმნის შესახებ;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები,
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა,
- დანართი N121 შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2**კურიკულუმის განხორციელება**
2.2.1**სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

1 საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეებიდან კარგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი, შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საბაზო საფეხურის უცხოური ენის კათედრის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. აგრეთვე, მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა გეგმავს სასწავლო პროექტებს: ინგლისურ ენაში VII კლასში იგეგმება პროექტი სახელწოდებით „The Human Rights Warrior“, IX კლასი *პროექტი სახელწოდებით : „მე მაქვს უფლება“. ორივე პროექტის* დეტალური გეგმა და განხორციელების ვადები წარმოდგენილია სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ საკითხად წარმოდგენილია სასკოლო კლუბი ინგლისურ ენაში სახელწოდებით: „ინოვატორები“, კლუბი გეგმავს პროექტის განხორციელებას სახელწოდებით “ 3R`s “- რაც, ასევე, მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუდნების სიგელებეს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

2. მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნის გამოცდილებაზე დაყრდნობით. კერძოდ:კურიკულუმებში გაწერილი თემა არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი,რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას,დამუშავებასა და გააზრებაში. პედაგოგებმა ინტერვიურების დროს მკაფიოდ აღნიშნეს,რომ მომავალი სასწავლო წლიდან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ახალი საგაკვეთილო თემების კავშირს წინარე ცოდნასთან , რადგან მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაშენებით უკეთ შეუძლიათ ახალი ახალი ცოდნის დაშენება, მიღებული ინფორმაციის (ცოდნის) დახარისხება , შედარება წინა გამოცდილებასთან, დასკვნების გამოტანა, დამოუკიდებელი აზროვნება, რისთვისაც აქტიურად იქნება გამოყენებული : გონებრივი იერიში, როლური თამაშები, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა,დისკუსია . საბაზო საფეხურზე საგნების: მოქალაქეობა,გეოგრაფია, ისტორია- საგნობრივ კურიკულუმები აგებულია თემატური დაგეგმვის პრინციპის გათვალისწინებით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე

ცოდნის გააქტიურების. საგნობრივ კურიკულუმებში დამუშავებულია ყველა თემა. ასევე ფიქსირდება კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით დაა.შ. ინგლისურ ენაში VIII კლასში წარმოდგენილია დავალება ქართველი და ბრიტანელი მოზარდების კვების ჩვევების შესახებ. ეს დავალება ითვალისწინებს სინთეზს ნაცნობი კონტექტიდან ახალი-ბრიტანული კვების ჩვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვების და მსგავსება-განსხვავების პოვნის ახალი ენობრივი საკითხების (ლექსიკა და გრამატიკა) დაუფლების პარალელურად. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის აქვს შესაბამისი წინარე გამოცდილება, ხედვა და მზაობა ახალი ცოდნის კონსტრუირება განახორციელოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

3 საბაზო საფეხურის კათედრების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეაზე, დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან კომპლექსური ტიპის დავალებებით სასწავლო პროცესის წარმართვა საშუალებას იძლევა, მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებასათვის.სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს , რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში დაგეგმილი აქვთ სწავლის სწავლაზე,კერძოდ საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნას ისე, რომ მასში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებების ყოველი ნაბიჯი განხორციელდეს ისეთი აქტივობებით და სტრატეგიებით, რომ მასწავლებლის მხრიდან წახალისებული იყოს მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი/თანატოლის სწავლის პროცესზე დაკვირვება, თვითშეფასება/თანატოლთა შეფასება, რათა დაფიქრდეს, თუ რა არის უკეთესი მისი წინსვლისა და პროგრესისავის. მოსწავლეებს უხდებათ, სხვადასხვა თეორიული მასალის ათვისება და შემდეგ პრაქტიკაში გადატანა, პრეზენტაციების კეთება, ფესტივალებზე მონაწილეობა ამ გამოცდილებებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა.სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეტდეს სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

4.საბაზო საფეხურიის კათედრებზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებები კი ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული. საბაზო საფეხურის უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები,შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. მაგ.რუსული ენის IX კლასში წარმოდგენილი საკითხი ტურისტული ბუკლეტის პრეზენტაცია თემაზე: «Семь чудес Грузии»“ , ასევე ინგლისური ენის VII კლასში პოსტერის შექმნა ,,სკოლები და ბავშვობა ვიქტორიანულ ინგლისში“, კარგი საშუალებაა ცოდნის სხვადასხვა ჭრილში გადატანის და ინდიკატორის მტკიცებულების დასტურია.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. საბაზოსფეხურის მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და მზაობა.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

5. საბაზო საფეხურის მასწავლებელთა მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, სხვადასხვა საგნის ინტეგრირებულად და ურიერთდაკავშირებულად სწავლების შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სადამრიგებლო დებულებისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით, მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად სკოლას მიაჩნია მოსწავლეთთვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების შეთავაზება, ასევე მასწავლებლეთა გააქტიურება სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლას საბაზო საფეხურზე აქვს სხვადასხვა საგნების ინტეგრირებულად და უთიერთადაკავშირებულად სწავლების

გამოცდილება . ახალ სასწავლო წელს კათდრა ვგეგმავს, გააუმჯობესოს და დახვეწოს ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების განხორციელების პრაქტიკა.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- საბაზო საფეხურის საგნებისკურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- კათედრების ოქმები,
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პროექტები
- სკოლის Facebook გვერდი https://www.facebook.com/chxari.chxari
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები/ პროექტები
- განხორციელებული ინტეგრირებული დავალება (ჩვენი საქართველო, ხელოვნება)
- საბაზო საფეხურის კათედრების სამუშაო პორტპოლიოები
-

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული სამიზნე ცნებები /ქვეცნებები , თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს , საკვანძო შეკითხვებს შორის.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

2.მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა.

ამ მიმართულებით განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ესთეტიკის კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი სხვადასხვა სოციალური პროექტები მაგ: გამოფენები, ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები, სხვადასხვა დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვა ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან საბაზო საფეხურზე უცხოური ენის კურიკულუმში წარმოდგენილი დაგეგმილი პროექტები (VII და IX კლასები- თემა ადამიანთა უფლებები), ცოდნის მიღებასთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებასაც. ამ ტიპის დავალებებით მოსწავლე სწავლობს, თუ როგორ გამოიყენოს მოცემულ საგნობრივ კონტექსტში მიღებული ცოდნა, ამოიცნოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, მართოს ემოციები.. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

3.კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას, კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას და იდენტიფიცირებულია მოსწავლეთა მიღწევის დონე. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში გვხვდება ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები როგორებიცაა: პრეზენტაციის შეფასების ზოგადი რუბრიკა, დისკუსიის შეფასება. გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებლები იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას, სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ კუთხით კიდევ უფრო მეტად განვითარდებიან. მატემატიიკის კათერდა განსაკუთრებით კარგად იყენებს თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ერთერთ გამოწვევად მიაჩნიათ სწავლა-სწავლების პროცესში და ამ მიმართულებით მოსწავლის ხელშეწყობის გზად მიიჩნევენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას და მოსწავლის სათანადო შეფასებას, რასაც ბაბაზო საფეხურზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

4. საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას საფეხური შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. მართალია ტექნოლოგიების მიმართულებით პედაგოგმა ვერ წარმოადგინა შეფასების სისტემა, მაგრამ გასაუბრებისას გამოიკვეთა, კათედრა იყენებს შეფასებისათვის სხვადასხვა ფორმებს. უნდა აღინიშნოს, რომ შერჩეული კომპლექსური დავალებების , აუცილებელ კომპონენტს შეადგენს შეფასების კრიტერიუმები და მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება.საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

5.. სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი . განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. ასევე კათედრის დონეზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების და შეფასების განხილვა და ანალიზი. წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმი ადგენს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტანდარტით მოთხოვნილი შესაბამისობას.კერძოდ, "შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური), ანუ იმის

უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზეწინა სასწავლო წლის მონიტორინგი და შეფასება გაწერილია პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი სხდომის ოქმში, მასწავლებელთა შიდა შეფასების ფურცლები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, ხარისხის ჯგუფის დებულებაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის სისტემა. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან და საჭიროების შემთხვევევაში ეძლევა უკუკავშირი.თვითშეფასების კითხვარში წერია და მასწავლებლებთან საუბრისას დასტურდება, რომ საბაზო საფეხურის პედაგოგები წერენ განმავითარებელ კომენტარებს როგორც ელექტრონულ ჟურნალში ასევე მოსწავლეთა პირად საქმეებში.ხშირად ხდება საგაკვეთილო მონიტორინგი/ურთიერთდასწრება, კოლეგების მხრიდან. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

6. კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები როგორიცაა: გასული წლის ოქმები, ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები, რეფლექსიები, გასულ წლებში ჩატარებული გაკვეთილის გეგმები და უკუკავშირები, აგრეთვე მოსწავლეთა ელექტრონული ჟურნალი, მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათში ასახული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებები ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ასევე სკოლას გამოყოფილი ქავს ოთახი და შესაბამისად ინახავენ მატერიალურ მასალებსაც. ასევე უზრუნველყოფილია ელექტრონული მასალის შენახვა, რისთვისაც იყენებენ ღრუბლოვან სივრცეებს, განსაკუტრებით კი ვანდრაივს.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან და დირექტორთან განხორციელებული ინტერვიუ.
- შეფასების რუბრიკა საბაზო სფეხურისათვის;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- დანართი 74.ვერიფიკაციის მექნიზმი;
- სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

1საბაზო საფეხურის კათერდების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის სტრატეგიული გეგმებში, რომელშიც მკაფიოდ არის მონიშნული სკოლის მისია და ღირებულებები ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისათვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოთ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობრივი მუშაობით, ერთობრივი ძალისხმევით განხორციელებულ პროექტებში და ინტეგრირებულ გაკვეთილებში.სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, პედაგოგები მხარს უჭერენ არამარტო ერთმანეთის იდეებსა და ინიციატივებს, არამედ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. გარდა

ამისა, შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებს, ინტერესები და შეხედულებებს. სკოლაში არსებობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, ხდება იდეების და ინიციატივების წახალისება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. იგეგმება და ხორციელდება პროექტები, (მათ შორის სსსმმ საჭიროებების შესაბამისი).

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს. იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. სკოლა ახორციელებს არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობები და პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. ყოველივე ზემოარნიშნულის გათვალისწინებიტ სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

3. საბაზო საფეხურის კათედრის წარმოდგენილი სხდომის ოქმებიდან, სკოლის თვითშეფასების ფორმიდან , კურიკულუმის დანერგვისა და განივთარების მეთოდოლოგიის ჩარჩოდან , ასევე კათედრასთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა , რომ მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, ხდება ერთმანეთის მოსაზრებების, გამოცდილების გაზიარება და ამის შესაბამისად ახალ სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესების, აქტივობების დაგეგმვა. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას , ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს,

აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით“ , თანამშრომლობისკარგი მაგალითია ინტეგრირებული გაკვეთილები, მათემატიკა-ბუნება, მათემატიკა-მუსიკა, მათემატიკა-ისტი, რაც შეეხება მშობლებთან ურთიერთობას, სურვილის შემთხვევაში მშობლებს აქვთ შესაძლობლობა დაესწრონ გაკვეთილებს, პედაგოგებმა ინტერვიურებისას ისაუბრეს , რომ სამომავლოდა აპირებენ მშობლებთან უფრო მეტად თანამშრომლობას და კომუნიკაციას, რისთვისას დაიგეგმება როგორც ფორმალური ასევე არაფორმარული აქტივობები. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის მომზადების პროცესი დაფუძნებულია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში, რასაც ასევე ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ინფორმაცია; კათედრების ოქმებით დგინდება, რომ კათედრის ყველა წევრი თანაბრადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის დახვეწა/შემუშავებაზე და სხვა აქტივობების დაგეგმვაზე, იცნობენ ერთმანეთის განხორციელებულ პროექტებსა და კომპლექსურ დავალებებს.

მშობელთა კრების ოქმიდან ირკვევა, რომ მშობლები დამრიგებლის მხრიდან ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესის წარმართვის პროცესებზე. კომუნიკაციის და თანამშრომლობითი კულტურის გაზრდის მიზნით კათეტრებზე იყენებენ “კრიტიკული მეგობრის” ისნსტრუმენტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებული

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

4. სკოლის მისიისა და თვითშეფასების მიხედვით სკოლასა და კლასის დონეზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. ამის დასტურია, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები როგორც ფორმალური ისე არაფორმალური სწავლების დროს.ინტერვიუს მიმდინარეობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სკოლის დირექციას და მასწავლებლებს აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, ხდება გამოცდილების გაზიარება, როგორც დირექციას ასევე კათედრებს შორის . სპორტის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოზიტიური განწყობის შენარჩუნება. მასწავლებლები კარგად ახერხებენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიურიკლიმატის უზრუნველყოფას, რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართული ფესტივალების ორგაიზებაში და
ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას

სკოლაში ბოლო დროს განხორციელებული პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, მშობელთა კრების ოქმები, კონფერენციები ცხადყოფს სკოლაში ჩამოყალიბებულ ჰარმონიულ ატმოსფეროს. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად იკვეთება პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024
- საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურზე
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სხდომის ოქმი
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- სკოლის ფეისბუქ გვერდი
- უცხოური ენების კათედრის პორტფოლიო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 **მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

1. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. არსებობს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით შექნილი რეფლექსიები და თვითრეფლექსიები, ამ ეტაპზე სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოოგია, ასევე ვერიფიკაციის მექანიზმი რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილია მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო. სკოლის პერსონალთან ინტერვიურების პროცესში იკვეთება, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის

საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს ესტეტიკის კათერდამ ხაზი გაუსვა რომ, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდა წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლოპროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა;

2.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

2. სკოლის დოკუმენტაციით, გაკვეთილზე დასწრების რუბრიკებით და ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, კათედრის წევრები ესწრებოდნენ გაკვეთილებს და კოლეგას რეფლექსიის სახით სთავაზობდნენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. სკოლის პედაგოგებს გააზრებული აქვთ შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა, თვლიან რომ იგი ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშოწყებას. თვითშეფასების ფორმიდან და სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების მხრივ მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სკოლაში სწავლის ხარისხის შეფასება მოხდეს სამჯერ : წლის დასაწყისში, რაც გულისხმობს ფუნდამენტურ კვლევას სასტარტო პოზიციის შესაფასებლად,სემესტრის დასასრულს, რათა შეფასდეს პროგრესი და საჭიროებათა შემთხვევაში გადაიხედოს მიზნის მისაღწევი გზები და ბოლოს წლის დასასრულს, სადაც მოხდება შედეგების შედარება და გაანალიზება. სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

2.3.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

3. საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ ასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიია, თვითშეფასების გაცნობისა და პედაგოგებთან ინტერვიურების შედეგად იკვეთება, რომ სკოლა გეგმავს და არის მზად გააკეთოს გარკვეული ნაბიჯები, იმისათვის, რომ გაუმჯობესოს მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები და მათზე დაყრდნობით დაისახოს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები.კერძოდ:2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა მონიტორინგისა და შეფასების

ანალიზის სუფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოყოფს სამუშაო ჯგუფს, სასკოლო საზოგადოება ასახავს კურიკულუმის სუსტ და ძლიერ მხარეებს, შეფასების ნაწილში მოხდება მისი ეფექტიანობის, შესაბამისობის და ქმედითობის განსაზღვრა.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-12 რესურსიდან ჩანს, 2023/24 სასწავლო წელს მოსწავლეების და მასწავლებლების საჭიროებების დადგენა მოხდება მასწავლებლების ანგარიშებისა და სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენებით. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმის განვითარება(მეთოდოლოგიური ჩარჩო)
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- დანართი#81 - ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი პირველ და მეორე უცხოურ ენებში
- შემაჯამებელი ოქმი ხელოვნება
- შემაჯამებელი ოქმი მუსიკა
- მასწავლებლებთან გასაუბრება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

1. სკოლა შეფასებისას იყენებს თითოეული საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ,ისე სასკოლო დონეზე,რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება , რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ ,რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

2. ისგ, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკა და კათედრის ოქმში მოცემული ინფორმაცია შემაჯამებელი დავალებების განხილვასთან დაკავშირებით უზრუნველოფს იმას, რომ შეფასება ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.სკოლას აქვს

მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევების გამოცდილება, სადაც იკვეთება, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც ასახავს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას მოსწავლეთა შეფასებისას. ხდება ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული საერთაშორისო კვლევების დასკვნებისა და განზოგადებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა თუ განხორციელების პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. საბაზო საფეხურზე გაერთიანებული საგნების მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლ გეგმის საფუძველზე. კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).**ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

3. შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

4. შესწავლილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ : მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები; ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და შეფასების ინდიკატორების მიხედვით შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ამ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრების ოქმები, რესურსი 12
- სადამრიგებლო პროგრამები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ;
- საბაზო საფეხურის კათედრაზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება შეფასების რუბრიკით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია. გარდა ამისა, კათედრის ოქმში აღწერილია შეფასების ის მიმართულება რაც უნდა შეიცვალოს მომდევნო წელს კურიკულუმის გაწერისას. შესაბამისად, შემუშავებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად კათედრა მომავალი სასწავლო წლის

ბოლოს მოახდენს პროცესების რეფლექსიას, აღწერს მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწავს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნულიდან გამომდინარე გამომდინარე, აქვს მზაობა სამომავლოდ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

2..სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ,რომელშიც გაწერილია მიმდინარე კურიკულუმის შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის განხორციელების მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლას ჯერ არ აქვს სასკოლო კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, სადაც ასახულია მოსწავლეთა შედეგები საფეხურებისა და საგნების მიხედვით, ასევე არ იკვეთება სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემების ასახვა რაიმე სახით (ცხრილები, დიაგრამები, პრეზენტაციები), მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. ეს გამოცდილება გათვალისწინებული არის საბაზო საფეხურის დონეზეც რაც დადასტურებულია კათედრის ოქმში მოცემული ინფორმციით. ვინაიდან სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასების არწერილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიურ ჩარჩოში და სკოლა ამ ეტაპზე გადის პირველად ავტორიცაციას, შეგვიძლია ვთქვათ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- ვერიფიკაციის მექანიზმი.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**

- **საბაზო საფეხურის კლასების კათედრის სხდომის ოქმი**

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
საშუალო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურზე	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა, შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის განვითარების პროცესში ასევე წარმოდგენილია მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და მოვალეობები. თითოეული კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში გათვალისწინებულია განსხვავებული ხედვები და პრიორიტეტები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლობენ, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და სწორედ ამის გათვალისწინებით ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს.თვითშეფასების კითხვარში გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ სკოლაში მასწავლებელი თავისუფალია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. უცხოური ენის კათერდის მასწავლებლებთან

საუბრისას განსაკუთრებით გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დანერგილი პრაქტიკაა კათედრის შეხვედრაზე სასწავლო წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების აკუმულირება, გაანალიზება რის საფუძვეზე ხდება ცვლილებების შეტანა და კურიკულუმის გაუმჯობესება. ამასთანავე, სკოლას აქვს მუდმივი და მჭიდრო კომუნიკაცია მშობლებთან როგორც პირისპირ-მშობელთა კრებების, ასევე ინდივიდუალურად ელ ფორმატით .

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

2. თითოეულ კათედრასთან საუბრითა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეფვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები. საშუალო საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანამათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭირობები, მოსწვლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინეტერესები. მასწავლებლები კათედრებზე წარმოადგენენ ინდივიდუალ ხედვებს, კოლეგებთან ერთად განიხილავენ წინა წლის გამოცდილებას და გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით, სასწავლო მიზნების შესაბამისად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. სადამრიგებლო პროგრამის შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს, კერძოდ, კლასის საათის თემატიკას. ექსკურსიების მარშრუტის შერჩევაში მოსწავლეები და მშობლები იღებენ მონაწილეობას. სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებენ სხვადასხვა გზით (მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალური შეხვედრების დროს, სატელეფონო გასაუბრებით თუ სოციალური ქსელებით ურთიერთობის გზით, მოსწავლეებთან გასაუბრებით და ა.შ.).ამგვარად, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

2.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის მიხედვით საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას მათ ერთობლივად

განსაზღვრეს სამომავლო გეგმები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, რომლის დროსაც ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და კონკრეტულ საჭიროებებს. მიუხედავად ამისა, სამომავლოდ ისინი გეგმავენ, კურიკულუმის შემუშავების პროცესში კიდევ უფრო მეტად ჩაერთოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით ისინი იყენებენ ანკეტირებას/გამოკითხვას, ხოლო დაგეგმილი სასკოლო პროექტები მორგებულია
კურიკულუმის ამოცანებსა და გრძელვადიან მიზნებზე.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივებების შესახებ მოსწავლეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ.ასევე სკოლას გააქტიურებული აქვს ვებგვერდი სადაც განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ. აქტიურად იყენებენ ფეისბუქ გვერდს რასაც მშობელთათვის და სოფლის თემისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი და ხშირადმოხმარებადი ხასიათით ასაბუთებენ. სკოლაში არსებობს მშობლების ინფომირების რამდენიმე პრაქტიკა-კომპლექსური დავალების ბარათების მშობლებთან გაზიარება და მშობლეთა კრებები,სადაც პედაგოგები ყურადღებით ეცნობიან მშობელთა მოსაზრებებს და ითვალისწინებენ მათგან მიღებულ უკუკავშირს;

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგებთან გასაუბრება
- სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- საშუალო საფეხურის საგნების კურიკულუმების ჩარჩოები

- დანართი 59.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- უცხოური ენის კათედრის ანგარიში
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები.
- სადამრიგებლო გეგმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დანართი 61. მშობლის ბარათი;
- სკოლის მისია

· 2.1.2 **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

1.საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საშუალო საფეხურის კათედრის მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლო წლისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის, სადაც გაწერილია გრძელვადიანი მიზანი- სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის ჩარჩოებში , სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ერთ სემესტრში დაგეგმილია მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება. **საზოგადოებრივი** მეცნიერებებისაშუალო საფეხურზე საგნებში: მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია გაწერილი კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; აღნიშნულ დებულებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები: შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს; სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში უმეტესად მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს; მოქალქეობის საგნის ფარგლებში მე-10 კლასში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული. კურიკულუმში შემოთავაზებულია მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტით საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები/სახელმძღვანელოდან/და მაგალითები შედარებისთვის. მაგ: საგანი-მოქალაქეობა, თემა- გლობალური მოქალაქეობა, საკითხთა კლასტერი- პიროვნების განვითარების პროცესი, ცნებები-საზოგადოება, დემოკრატია. კონტექსტ მაგალითი -„ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა “ , კომპლექსური დავალების იდეა - პოსტერის შექმნა,,საზოგადოების როლი დანაშაულის შე,მცირებაში“ მაგალითი შედარებისთვისთვის- სერგის ამბავი

რჩევა, გეოგრაფიის, ისტორიის და მოქალაქეობის კურიკულუმებში გაიწეროს ყველა ცნებაზე კომპლექსური ან სხვა ტიპის დავალებები. გეოგრაფიის კურიკულუმში ყურადღება მიექცეს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავებას.
საშუალო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლის უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში შეტანილი თემატური ერთეულები და შუალედური მიზნები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები წარმოადგენს ნათელ მაგალითს სასწავლო პროცესში რამდენად არის გათვალისწინებული მოსწავლე. მაგ:. მე10 კლასში მოცემული საკითხი, (ესსე) სკოლაში მობილური ტელეფონების ტარების შესახებ, ნათლად

აჩვენებს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით თემის დაგეგმვას და განხორციელებას. ამ დაველბაში წარმოდგენილი რესურსები როგორც სახელმძღვანელოდან (Tune Up2), ასევე მასწავლებლის მიერ დამატებით მოძიებული (ესსეს ნიმუშები და სტრუქტურა, Pros and Cons using cell phones in schools) მიზნობრივად შერჩეულია.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

2.საშუალო საფეხურზე ყველა საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ , კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები,სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სავალდებულო თემებზე შექმნილი კომპლექსური დავალებები ემიზნება გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, შედეგების ინდიკატორები), ქვეცნებებით კიდევ უფრო მკაფიოდ ხდება სამიზნე ცნებების დაზუსტება. კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს განუვითაროთ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებისყოფა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც მოხდება კომპლექსური დავალებისა და პროექტების ფარგლები .

კატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

3.სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რისი დასტურიცაა სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ინკლუზიური მიდგომასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიის შესწავლით გამოიკვეთა, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის გამოცდილება, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და

მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ ხარვეზები პროგრამულ მასალასთან მიმართებით, შედეგების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებენ სარემედიაციო პროგრამას. დიფერენცირების მიზნით აქვთ სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარების გამოცდილება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ საშუალო საფეხურზე საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შესთავაზბენ ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს. მოახდენენ კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას და მოსწავლეებს შესთავაზობენ კომპლექსური დავალების პროდუქტი სასურველი ფორმით წარმოაჩინონ. სპორტის მიმართულებით მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან
გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია კომპლექსურ დავალებებში. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა განმარტეს, რომ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება ხდება პროდუქტის, შინაარსის, გარემოსა და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, გასული სასწავლო წლის ინდ გეგმებიდან ჩანს , რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესი ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს
წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, გასული სასწავლო წლის ინდ გეგმებიდან ჩანს , რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესი ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

4.შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, განმავითარებელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით. სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების

პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილი, ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. საზოგადოებრივ მეცნიერებების საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია სამივე /ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა/ საგანში როგორც განმავითარებელი , ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკების შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს და შედეგების შეფასების ინდიკატორებს. სკოლას ასევე დამატებით დოკუმენტაციაში მტკიცებულებებში აქვს წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, სადაც პროცესი მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ. კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. **რჩევა:** სამივე საგანში შექმნილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თუმცა დარღვეულია პრინციპი: ყველა თემაში ვაფასებთ ყველა ცნებაზე მოსწავლეთა შედეგებზე გასვლის ხარისხს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები, თემის ფარგლებში, უნდა მიემართებოდეს საგანში სტანდარტით განსაზღვრულ ყველა ცნებას და არა მაგალითად ოთხი ცნებიდან ორს.

სპორტის მასწავლებლები იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და რიცხვებში აღწერენ ბავშების განვითარებას, რაც საბოლოო

განმავითარებელ შეფასებებში თვალსაჩინოს ხდის ბავშვის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე და ზრდის მათი განვითარების პოტენციალს. ბავშვები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარეც, რამდენად კარგად იცავენ იმ იმ ჰიგიენურ ნორმებს რაც საჭიროა სასაკის შესაბამისად. ასევე მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის გაღვივებაში. რაც გამოხატულია მასწავლებლების

მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში.

მასწავლებლები ყველა კატედრაზე აღნიშნავდნენ რომ საშუალო საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ კომენტარს და რომ მოსწავლეებს მასწავლებლები ყოველი აქტივობის შემდეგ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა და შესაზლებლობა ეფექტურად გამოიყენოს სასწავლო პროცესში.

2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

5. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია რაც უზრუნველყოფს მოსაზრებას , რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილების ანალიზი. ამ ეტაპზე სკოლის თვითშეფასების ფორმას და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ინფორმაციის და კათედრებან გასაუბრების თანახმად დგინდება, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმიები ასახავს წინა წლის გამოცდილებას. კათედრებს აქვთ პრაქტიკა და მოტივაცია სასწავლო პროცესის პარალელურად დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ კურიკულუმის შინაარსი, გამომდინარე მიმდინარე პროცესებიდან. საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისას დასმულმი დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა -მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დროის მენეჯმენტი და მშობელთა წინასწარი ინფორმირება კომპლექსურ დავალებებზე გახდა სამომავლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტები. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა კურიკულუმის დაგეგმვის პროცესსი გაითვალისწინოს წინარე პროცესების ანალიზი.

2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024
- პრეზენტაციის, პროექტის შეფასების რუბრიკა;
- სასუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები კლასების მიხედვით;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

- რესურსი - 12 - კათედრის ოქმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- დანართი 83. ბრძანება ისგ - შექმნის შესახებ;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები,
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა,
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2**კურიკულუმის განხორციელება**

2.2.1**სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

1 ..საშუალო საფეხურზე ,სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული საკლასო თუ სასკოლო აქტივობების ამსახველი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს საშუალო საფეხურის მოსწავლეების, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეებიდან კარგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.კერძოდ მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა ამის თქმის საშუალებას. მე-10 კლასში, საგან მოქალაქეობაში განხორციელებული პროექტი თემაზე- ტრეფიკინგი , რომლის მიზანი იყო: სასკოლო თემის ინფორმირებულობის გზით ტრეფიკინგის მიმართ საზოგადოების ცნობადობის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში გაწერილი აქტივობები და შექმნილი რესურსები ცხადყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესებში. უცხოურ ენებშიც წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები არის კარგი საშუალება მოსწავლეების შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის და მოტივაციის ამაღლებისთვის. ამას მოწმობს შერჩეული რესურსები (კონტექსტ მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის). ამასთანავე, XI კლასის რუსულ ენაში 2024 წლის დეკემბრის თვეში იგეგმება პროექტი სახელწოდებით : „მე მაქვს უფლება“ და ანალოგიურ თემაზე X კლასში 2024 წლის თებერვალში აქტივობა (კედლის გაზეთი მომზადება) სადაც ნათლად ჩანს მოსწავლის შემოქმედებითი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება. სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუდნების სიგელებეს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. ასევე აქტიურად ახორციელებენ არაფორმალურ განათლებას სკოლსში და აქვსთ სხვადასხვა სახის პროექტები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

2. მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნის გამოცდილებაზე დაყრდნობით. კერძოდ:კურიკულუმებში გაწერილი თემა არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი,რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას,დამუშავებასა და გააზრებაში. პედაგოგებმა ინტერვიურების დროს მკაფიოდ აღნიშნეს,რომ მომავალი სასწავლო წლიდან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ახალი საგაკვეთილო თემების კავშირს წინარე ცოდნასთან , რადგან მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაშენებით უკეთ შეუძლიათ ახალი ახალი ცოდნის დაშენება, მიღებული ინფორმაციის (ცოდნის) დახარისხება , შედარება წინა გამოცდილებასთან, დასკვნების გამოტანა, დამოუკიდებელი აზროვნება, რისთვისაც აქტიურად იქნება გამოყენებული : გონებრივი იერიში, როლური თამაშები, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა,დისკუსია . სკოლის აქვს შესაბამისი წინარე გამოცდილება, ხედვა და მზაობა ახალი ცოდნის კონსტრუირება განახორციელოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

3 საშუალო საფეხურის კათედრების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეაზე, დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან კომპლექსური ტიპის დავალებებით სასწავლო პროცესის წარმართვა საშუალებას იძლევა, მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებასათვის.სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს , რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში დაგეგმილი აქვთ სწავლის სწავლაზე,კერძოდ საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნას ისე, რომ მასში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებების ყოველი ნაბიჯი განხორციელდეს ისეთი აქტივობებით და სტრატეგიებით, რომ მასწავლებლის მხრიდან წახალისებული იყოს მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი/თანატოლის სწავლის პროცესზე დაკვირვება, თვითშეფასება/თანატოლთა შეფასება, რათა დაფიქრდეს, თუ რა არის უკეთესი მისი წინსვლისა და პროგრესისავის. მოსწავლეებს უხდებათ, სხვადასხვა თეორიული მასალის ათვისება და შემდეგ პრაქტიკაში გადატანა, პრეზენტაციების კეთება, ფესტივალებზე მონაწილეობა ამ გამოცდილებებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა.სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეტდეს სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

4.საშუალო საფეხურის კათედრებზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებები კი ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული. გააქტიურებას მოიაზრებს ტექსტის (პრეზენტაციის), ენობრივი საშუალებების და სამეტყველო ქმედებების ცნებების დამუშავების გზით.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. საშუალო სფეხურის მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და მზაობა.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

5. საშუალო საფეხურის მასწავლებელთა მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, სხვადასხვა საგნის ინტეგრირებულად და ურიერთდაკავშირებულად სწავლების შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სადამრიგებლო დებულებისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით, მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად სკოლას მიაჩნია მოსწავლეთთვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების შეთავაზება, ასევე მასწავლებლეთა გააქტიურება სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლას საშუალო საფეხურზე აქვს სხვადასხვა საგნების ინტეგრირებულად და უთიერთადაკავშირებულად სწავლების გამოცდილება ამის მაგალითია წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილები და მასწავლებლებთან გასაუბრება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024

- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- საშუალო საფეხურის საგნებისკურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- კათედრების ოქმები,
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის Facebook გვერდი https://www.facebook.com/chxari.chxari
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები/ პროექტები
- განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული სამიზნე ცნებები /ქვეცნებები , თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი მაგალითად საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე საგან „მოქალაქეობაში“ , მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები სამივე საგანში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს , საკვანძო შეკითხვებს შორის.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

2.საშუალო საფეხურის კათედრების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გავაკეთოთ საზოგადოებრივი მეცნიერებების პროექტული სწავლებაზე , პრიორიტეტულ თემებზე მაგ: ადამიანის უფლებები, ტრეფიკინგი და სხვ. რომელიც ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება; საზოგადოებრივ მეცნიერებებში საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში შედეგები და მისი ინდიკატორები ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; **რჩევა**: დაიგეგმოს და განხორციელდეს კიდევ უფრო მეტი პროექტები და აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სხვა ადამიანების პოზიციის გაცნობიერებას, საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებას, თანაგრძნობის გამოხატვას, საკუთარი ემოციების ამოცნობას და მართვას, ღირებულებებზე დაფიქრებას, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, პოზიტიურ კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

3.საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას, კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას და იდენტიფიცირებულია მოსწავლეთა მიღწევის დონე. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში გვხვდება ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები როგორებიცაა: პრეზენტაციის შეფასების ზოგადი რუბრიკა, დისკუსიის შეფასება. გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებლები იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას, სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ კუთხით კიდევ უფრო მეტად განვითარდებიან. მატემატიიკის კათერდა განსაკუთრებით კარგად იყენებს თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ერთერთ გამოწვევად მიაჩნიათ სწავლა-სწავლების პროცესში და ამ მიმართულებით მოსწავლის ხელშეწყობის გზად მიიჩნევენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას და მოსწავლის სათანადო შეფასებას, რასაც სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

4. საშუალო საფეხურის კათედრების მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას საფეხური შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა

აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

5.. სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი . განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. ასევე კათედრის დონეზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების და შეფასების განხილვა და ანალიზი. წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმი ადგენს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტანდარტით მოთხოვნილი შესაბამისობას.კერძოდ, "შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური), ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზეწინა სასწავლო წლის მონიტორინგი და შეფასება გაწერილია პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი სხდომის ოქმში, მასწავლებელთა შიდა შეფასების ფურცლები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, ხარისხის ჯგუფის დებულებაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის სისტემა. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან და საჭიროების შემთხვევევაში ეძლევა უკუკავშირი.თვითშეფასების კითხვარში წერია და მასწავლებლებთან საუბრისას დასტურდება, რომ საშუალო საფეხურის პედაგოგები წერენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას როგორც ელექტრონულ ჟურნალში, რაც უზრუნველყოს მის საჯაროობას მსობლისთვის.ხშირად ხდება საგაკვეთილო მონიტორინგი/ურთიერთდასწრება, კოლეგების მხრიდან. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

6. კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები როგორიცაა: გასული წლის ოქმები, ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები, რეფლექსიები, გასულ წლებში ჩატარებული გაკვეთილის გეგმები და უკუკავშირები, აგრეთვე მოსწავლეთა ელექტრონული ჟურნალი, მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათში ასახული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებები ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებისას ეს ინდიკატორი დაკმაყოფილდა, ასევე ინახა სპეციალურად გამოყოფილი სივრცე სადაც ინახება მატერიალური რესურსები, ხოლო ონლაინ არსებული მონაცემები ინახება ელექტრონულ ჟურნალში, ასევ მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება ვანდრაივზე.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან და დირექტორთან განხორციელებული ინტერვიუ.
- შეფასების რუბრიკა საშუალო სფეხურისათვის;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- დანართი 74.ვერიფიკაციის მექნიზმი;
- სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

1წარმოდგენილი დოკუმენტებში და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის სტრატეგიული გეგმებში, რომელშიც მკაფიოდ არის მონიშნული სკოლის მისია და ღირებულებები ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისათვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოთ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობრივი მუშაობით, ერთობრივი ძალისხმევით განხორციელებულ პროექტებში და ინტეგრირებულ გაკვეთილებში.სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, პედაგოგები მხარს უჭერენ არამარტო ერთმანეთის იდეებსა და ინიციატივებს,

არამედ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად

ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებს, ინტერესები და შეხედულებებს. სკოლაში არსებობს „კრიტიკული

მეგობრის“ ინსტიტუტი, ხდება იდეების და ინიციატივების წახალისება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. იგეგმება და ხორციელდება პროექტები, (მათ შორის სსსმმ საჭიროებების შესაბამისი). სკოლაში გვაქვს მხარდამჭერი ფიზიკური გარემოც, სკოლას აქვს ლიფტი რაც საშუალებას აძლევს შშმ მოსწავლეს ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ყველა იმ რესურსზე რითაც სარგებლობენ სხვაები.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს. იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. სკოლა ახორციელებს არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობები და პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. ყოველივე ზემოარნიშნულის გათვალისწინებიტ სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

3. საშუალო საფეხურის კათედრის წარმოდგენილი სხდომის ოქმებიდან, სკოლის თვითშეფასების ფორმიდან , კურიკულუმის დანერგვისა და განივთარების მეთოდოლოგიის ჩარჩოდან , ასევე კათედრასთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა , რომ მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, ხდება ერთმანეთის მოსაზრებების, გამოცდილების გაზიარება და ამის შესაბამისად ახალ სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესების, აქტივობების დაგეგმვა. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას , ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით“ , თანამშრომლობისკარგი მაგალითია ინტეგრირებული გაკვეთილები. პედაგოგებმა აღენიშნეს,რომ სამომავლოდ აპირებენ მშობლებთან უფრო მეტად თანამშრომლობას და კომუნიკაციას, რისთვისას დაიგეგმება როგორც ფორმალური ასევე არაფორმარული აქტივობები. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის მომზადების პროცესი დაფუძნებულია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში, რასაც ასევე ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ინფორმაცია; კათედრების ოქმებით დგინდება, რომ კათედრის ყველა წევრი თანაბრადაა ჩართული სასკოლო

ცხოვრებაში, ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის დახვეწა/შემუშავებაზე და სხვა აქტივობების დაგეგმვაზე, იცნობენ ერთმანეთის განხორციელებულ პროექტებსა და კომპლექსურ დავალებებს.
მშობელთა კრების ოქმიდან ირკვევა, რომ მშობლები დამრიგებლის მხრიდან ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესის წარმართვის პროცესებზე. კომუნიკაციის და თანამშრომლობითი კულტურის გაზრდის მიზნით კათეტრებზე იყენებენ "კრიტიკული მეგობრის" ისნსტრუმენტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებული

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

4. სკოლის მისიისა და თვითშეფასების მიხედვით სკოლასა და კლასის დონეზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. ამის დასტურია, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები როგორც ფორმალური ისე არაფორმალური სწავლების დროს.ინტერვიუს მიმდინარეობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სკოლის დირექციას და მასწავლებლებს აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, ხდება გამოცდილების გაზიარება, როგორც დირექციას ასევე კათედრებს შორის . სპორტის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოზიტიური განწყობის შენარჩუნება. მასწავლებლები კარგად ახერხებენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიურიკლიმატის უზრუნველყოფას, რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართული ფესტივალების ორგაიზებაში და
ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას
სკოლაში ბოლო დროს განხორციელებული პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, მშობელთა კრების ოქმები, კონფერენციები ცხადყოფს სკოლაში ჩამოყალიბებულ ჰარმონიულ ატმოსფეროს. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად იკვეთება პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024
- საშუალო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები საშუალო საფეხურზე
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სხდომის ოქმი
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- სკოლის ფეისბუქ გვერდი
- საშუალო საფეხურის კათედრების პორტფოლიო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

1. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. არსებობს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით შექნილი რეფლექსიები და თვითრეფლექსიები, ამ ეტაპზე სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოოგია, ასევე ვერიფიკაციის მექანიზმი რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილია მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო. სკოლის პერსონალთან ინტერვიურების პროცესში იკვეთება, რომ აღნიშნული ჩარჩო-დოკუმენტი ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს ესტეტიკის კათერდამ ხაზი გაუსვა რომ, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდა წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლოპროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა;

2.3.1.1**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

2. სკოლის დოკუმენტაციით, გაკვეთილზე დასწრების რუბრიკებით და ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, კათედრის წევრები ესწრებოდნენ გაკვეთილებს და კოლეგას რეფლექსიის სახით სთავაზობდნენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. სკოლის პედაგოგებს გააზრებული აქვთ შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა, თვლიან რომ იგი ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშოწყობას. თვითშეფასების ფორმიდან და სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების მხრივ მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სკოლაში სწავლის ხარისხის შეფასება მოხდეს სამჯერ : წლის დასაწყისში, რაც გულისხმობს ფუნდამენტურ კვლევას სასტარტო პოზიციის შესაფასებლად,სემესტრის დასასრულს, რათა შეფასდეს პროგრესი და საჭიროებათა შემთხვევაში გადაიხედოს მიზნის მისაღწევი გზები და ბოლოს წლის დასასრულს, სადაც მოხდება შედეგების შედარება და გაანალიზება. სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

2.3.1.2.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

3. საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, თვითშეფასების გაცნობისა და პედაგოგებთან ინტერვიურების შედეგად იკვეთება, რომ სკოლა გეგმავს და არის მზად გააკეთოს გარკვეული ნაბიჯები, იმისათვის, რომ გაუმჯობესოს მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები და მათზე დაყრდნობით დაისახოს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები.კერძოდ:2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის სუფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოყოფს სამუშაო ჯგუფს, სასკოლო საზოგადოება ასახავს კურიკულუმის სუსტ და ძლიერ მხარეებს, შეფასების ნაწილში მოხდება მისი ეფექტიანობის, შესაბამისობის და ქმედითობის განსაზღვრა.**ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმის განვითარება(მეთოდოლოგიური ჩარჩო)
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- დანართი#81 - ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი;
- შემაჯამებელი ოქმი ხელოვნება
- შემაჯამებელი ოქმი მუსიკა
- მასწავლებლებთან გასაუბრება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

1.კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის თანახმად სკოლა მონიტორინგის და შეფასების საშუალებით პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს წარმოაჩენს. შემუშავებული კათედრის სამოქმედო გეგმა, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვის მიზანს წარმოადგენს პასუხი გაეცეს როგორ დავძლიოთ შედეგების ანალიზით გამოკვეთილი გამოწვევა და რა იქნას გათვალისწინებული მომავალი დაგეგმვისას. ეს ფაქტორი კათედრას ძალიან კარგად აქვს გააზრებული. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას ყურადღება გამახვილდა , რომ 2023-24 სასწავლო წლისთვის

კათედრაზე იგეგმება რუბრიკების უფრო მეტად გამრავალფეროვნება.სკოლას წარმოდგენილი აქვს სეფასების რუბრიკების სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა შეფასება ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

2. ისგ, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკა და კათედრის ოქმში მოცემული ინფორმაცია შემაჯამებელი დავალებების განხილვასთან დაკავშირებით უზრუნველოფს იმას, რომ შეფასება ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.სკოლას აქვს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევების გამოცდილება, სადაც იკვეთება, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც ასახავს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას მოსწავლეთა შეფასებისას. ხდება ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული საერთაშორისო კვლევების დასკვნებისა და განზოგადებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა თუ განხორციელების პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. საშუალო საფეხურზე გაერთიანებული საგნების მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლ გეგმის საფუძველზე. კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით კვლევა და შეფასება წარიმართებასამიმიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).**ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

3. შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

4. შესწავლილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ : მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები; ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და შეფასების ინდიკატორების მიხედვით შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ამ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კათედრების ოქმები, რესურსი 12
- სადამრიგებლო პროგრამები

- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია. გარდა ამისა, კათედრის ოქმში აღწერილია შეფასების ის მიმართულება რაც უნდა შეიცვალოს მომდევნო წელს კურიკულუმის გაწერისას. შესაბამისად, შემუშავებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად კათედრა მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენს პროცესების რეფლექსიას, აღწერს მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწავს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნულიდან გამომდინარე გამომდინარე, აქვს მზაობა სამომავლოდ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

2..სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ,რომელშიც გაწერილია მიმდინარე კურიკულუმის შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის განხორციელების მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლას ჯერ არ აქვს სასკოლო კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, სადაც ასახულია მოსწავლეთა შედეგები საფეხურებისა და საგნების მიხედვით, ასევე არ იკვეთება სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემების ასახვა რაიმე სახით (ცხრილები, დიაგრამები, პრეზენტაციები), მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. ეს გამოცდილება გათვალისწინებული არის საშუალო ნსაფეხურის დონეზეც რაც დადასტურებულია კათედრის ოქმში მოცემული ინფორმციით. ვინაიდან სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასების არწერილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიურ ჩარჩოში და სკოლა ამ ეტაპზე გადის პირველად ავტორიცაციას, შეგვიძლია ვთქვათ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- ვერიფიკაციის მექანიზმი.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

1.12.2023
თარიღი